CIAN MAGENTA YALLOW BLACK

**„ვისოლი“**
(ფასები უცვლელია)

სუპერი – 2,11
პრემიუმი – 2,06
ევრორეგულარი – 1,91
რეგულარი – 1,88

**„გალფი“**
(ფასები უცვლელია)

სუპერი – 00
პრემიუმი – 2,09
ევრორეგულარი – 1,99
რეგულარი – 1,89

**„რომპეტროლი“**
(ფასები უცვლელია)

ევრო-98 – 2,17
ევროპრემიუმი – 2,03
ევრორეგულარი – 1,87

**„ლუკოილი“**

ევროსუპერი – 2,04 (-5)
პრემიუმავანგარდი – 1,94 (-7)
ევროპრემიუმი – 00
ევრორეგულარი – 1,79 (-5)

**„სოკარი“**

სუპერი – 2,05 (-5)
ნანოპრემიუმი – 1,94 (-7)
ევრორეგულარი – 1,86 (-5)
ნანორეგულარი – 1,83 (-5)

# ალია

## რატომ ღირს საწვავი ქვირი, კონკურენციის სააგენტო 29 დეკემბერს იტყვის

3

N191/3121/ 26-29 დეკემბერი 2014 წ ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან



## გოგა ხაინდრავა: „მინდა ვაიპოლიტიკოსებს შევძახო, — ავოიეეე, თქვენ ყველას შიგ ხომ არა გაქვთ?!..“

ვისთვის გადასაცემად დაურიგა „თავისუფალმა თაობამ“ ცოცხები და შპრიცები აქციის მონაწილეებს?





## მინისტრ სანიკიძეს სასამართლოზე ზეწოლაში ადანაშაულებენ



## რა იცვლება პატიმრებისა და მათი ოჯახებისთვის?

რა წერია სასჯელაღსრულების რეფორმის პროექტში, რომელიც ღარიბაშვილმა მოიწონა?



## ბოლოს და ბოლოს, რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ლორთქიფანიძე და ბეჟაშვილი?

## რას საყვედურობს სოსო მანჯავიძე დავით უსუფაშვილს?





## რატომ დაუდგნენ თავდებში თავდაცვის მაღალჩინოსნებს დეპუტატები და ცნობილი ადამიანები?



## როგორ უშიფრავს ნიკა მელია კორუფციულ სქემას „ალიას“ და რას პასუხობს მერია

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## შსს-მ მთაწმინდაზე მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნა




შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მეშვიდე განყოფილების თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1992 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გიორგი ბ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების, ხოლო 1990 წელს დაბადებული გიორგი კ. ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა თბილისში, ალ. ჭავჭავაძის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, 1999 წელს დაბადებული ნიკოლოზ კ. – მუცლის არეში, ხოლო 1998 წელს დაბადებული გიორგი კ. ფეხის არეში ცივი იარაღით დაჭრეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ორივე დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანა. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია.

სამართალდამცველებმა, დანაშაულის ჩადენის იარაღი, დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. ორივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. (ნიუპოსტი)

# ვისთვის გადასაცემად დაურიგა „თავისუფალმა თაობამ“ ცოცხები და შპრიცები აქციის მონაწილეებს?

**სახელმწიფო კანცელარიასთან მოქალაქეთა ჯგუფის მიერ მინდია ჯანელიძის თავდაცვის მინისტრის პოსტიდან გადადგომის მოთხოვნით გამართულ აქციაზე დაპირისპირება მოხდა, რაც აქციის მსვლელობისას „თავისუფალი თაობის“ წარმომადგენლების მისვლას მოჰყვა. „შეიკრიბნენ და აპროტესტებენ გაუგებრად, მინისტრის გადადგომა უნდათ, როგორც ოცლარიანები ესენი არიან... მე ამოვიღე ჯიბიდან ოცი ლარი და მივაწოდე, რომ როგორი ოცი ლარითაც მოვიდნენ, ისე ოცი ლარით წავიდნენ აქედან, ნუ აწუხებენ მოსახლეობას“, — განაცხადა „თავისუფალი თაობის“ წევრმა ლადო სადღობელაშვილმა.**

**აქციის მონაწილეები კი აცხადებენ, რომ თავდაცვის სამინისტრომ ყველა ჯარისკაცის ღირსება შელახა იმ განცხადებით, რომელიც უკრაინაში მებრძოლ ქართველთან დაკავშირებით გაავრცელა. „ვითხოვთ, გადამდგარიყო იმ სამარცხვინო განცხადების მერე, რომლითაც შელახა ყველა ჯარისკაცის მუნდირი, ამის გასაპროტესტებლად ვიყავით“, — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.**

**ვინ და ვისი დავალებით მოაწყო აქცია თავდაცვის მინისტრის გადადგომის მოთხოვნით? როგორ შეიტყო აქციის შესახებ „თავისუფალმა თაობამ“ და რა აქციას ატარებენ 29 დეკემბერს?**

„ალიას“ **ლადო სადღობელაშვილი** ესაუბრა:

**— ლადო, ვინ ჩაატარა აქცია კანცელარიასთან და თქვენ როგორ მოხვდით იქ?**

– მოგეხსენებათ, ჩვენი ოფისი მდებარეობს მაჩაბელის №6-ში, სოლოლაკში და გამოვდიოდი ოფისიდან. დავინახე, რომ „პიკასოს კლუბელები“, ანუ „ნაციონალების“ წარმონაქმნები იკრიბებოდნენ და აპირებდნენ რაღაც აქციის ჩატარებას. არც ვიყავი აზრზე, რა აქცია იყო. დავრეკე ოფისში და ვინც ოფისში იმყოფებოდნენ, ვუთხარი, გამოდით, შევიკრიბოთ და კონტრაქცია მოვაწყოთ-მეთქი. შევიკრიბეთ იქ, წავიკითხე პლაკატებზე, რომ ლოზუნგებით გამოდიოდნენ, უნდოდათ თავდაცვის მინისტრის გადადგომა. იქვე აფთიაქში ინსულინის ნემსები ვიყიდეთ, იქვე იყო ერთლარიანი მაღაზია, ცოცხი ვიყიდეთ და საჩუქრად მივუტანეთ, რომ გადაეცათ მათი დროინდელი თავდაცვის მინისტრებისთვის. საუბარია ბაჩო ახალაიაზე,



რომელიც დამსახურებულად ზის ციხეში, რომლის სახელსაც უკავშირდება ცოცხით გაუპატიურების ფაქტები. ინსულინის ნემსები გავუგზავნეთ ავადმყოფ კეზერაშვილს, რომელიც 2008 წელს „კაიფში“ იყო კანცელარიაში და „აკიმარებდა“ მაშინ, როცა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიეღო. კამერების წინ ვერ პასუხობდა კითხვებს. იქვე გამახსენდა, რომ ესენი არიან 20-ლარიანი მონები, სიმბოლურად ამოვიღე ეს ფული და მინდოდა მათთვის მიმეცა, რომ გატრიალებულიყვნენ და ხელი არ შეეშალათ გადააადგილებისთვის. რაც არ უნდა გააკეთონ და რა აქციაც არ უნდა გამართონ, ყველაფერი აღიზიანებს მოსახლეობას, ყველამ ვიცით და გვახსოვს, რაც გავიარეთ. ამის გამო მოხდა შეხლა-შემოხლა. სიმართლე გითხრა, დედის გინება და ხელჩართული ომი არ მომხდარა ჩვენს შორის. გაღიზიანება მოჰყვა შპრიცების და 20 ლარის მიწოდებას, შეიძლება ითქვას, რომ პროვოკაციის მიზეზი იპოვეს. რა დამართა ამათმა მთავრობამ ქვეყანას, ამას რომ გაიხსენებ, მერე რა პროვოკაციაზე უნდა ისაუბრო?

**— ვისი დავალებით იმართებოდა ეს აქცია, ხომ არ იცი?**

– ეს არის გიგა ბოკერია, რომელიც აკონტროლებს „პიკასოს კლუბს“. ის არის „თავისუფალი ზონის“ ქვედანაყოფი, ნაცსაცეცი ორგანიზაცია. რახან თავისუფალი ზონა დაიხურა, ეს ახდენს წერტილოვან დარტყმებს „ნაციონალების“ დაკვეთით. მათი არგუმენტები, რაც აქვთ, ჩემთვის მიუღებელია და სულ დავუპირისპირდები მათ. რაც დაგვმართეს მათმა მინისტრებმა, ეს არასდროს დაგვავიწყდება, ამიტომ ვერ ავიტანთ მათ, ვერ შევეგუებით „ნაციონალების“ მიერ კონტროლირებადი ჯგუფის გამოსვლას ხელისუფლების წინააღმდეგ. ამიტომაც ორშაბათს ვიკრიბებით თავისუფლების მეტროს წინ და კიდევ ერთხელ შევახსენებთ საზოგადოებას იმ 9-წლიანი რეჟიმის ამსახველ ფაქტებს, რაც გამოვიარეთ. ამას ექნება გაზეთის სახე და დავურიგებთ მოსახლეობას რუსთაველზე.

ჟანა ასანიძე
568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საახალწლო კულტურულ-გასართობი ღონისძიებები



საშობაო ბაზრობები რიყის პარკში 25 დეკემბერს გაიხსნა და 7 იანვრამდე გასტანს. რიყის პარკში მისულ სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, დააგემოვნონ სხვადასხვა ტკბილეული და გლინტვეინი, ასევე შეიძინონ საახალწლო აქსესუარები; 7 იანვრის ჩათვლის რიყის პარკის სტუმრებს საშუალება ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ სპორტულ კულტურულ და შემეცნებით ღონისძიებებში; საბავშვო კონცერტები: 25, 31 დეკემბერი-7 იანვარი. 12:00 საათიდან 18:00 საათამდე. რიყის პარკში მდებარე ამფითეატრში სახელოვნებო სკოლების მოსწავლეების კონცერტები გაიმართება; 7 იანვრის ჩათვლით რიყის პარკში მისულ სტუმრებს პონები უმასპინძლებენ; 7 იანვრის ჩათვლით ერეკლე მეორის ქუჩაზე ნაძვის ხეების ფესტივალი გაიმართება; 26 დეკემბერს 11 საათზე თოვლის ბაბუა ბოტანიკურ ბაღს ეწვევა, ასევე 11 საათზე 27 დეკემბერს თოვლის ბაბუა მთაწმინდის პარკს ეწვევა და იქ 7 იანვრის ჩათვლით დარჩება; საახალწლო გალა კონცერტი 31 დეკემბერს საღამოს 10 საათზე ევროპის მოედანზე გაიმართება;

სპორტულ-გასართობი ღონისძიებები ასეა განაწილებული: ჰოკეი – 29 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით გასტანს, ყოველდღე რიყის პარკში 13, 14 და 15 საათზე გამართავენ თამაშს; ფიგურული სრიალი 29 დეკემბრიდან დაიწყება და გასტანს 7 იანვრის ჩათვლით. წარმოდგენებს გამართავენ 12, 15 და 17 საათზე, ხოლო დანარჩენ დროს მოქალაქეებსაც შესაძლებლობა ექნებათ, ყინულის მოედნით ისარგებლონ; 7 იანვრის ჩათვლით რიყის პარკში ექსტრემალური სპორტის სახეობის წარმომადგენლები გამართავენ საკალათბურთო „ჩატენვების“ შოუს; რიყის პარკში 26 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით, სპორტსმენები გამართავენ საჩვენებელ გამოსვლებს; მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული ტანვარჯიში; თოვლის ბაბუა და ელფები 7 იანვრის ჩათვლით უმასპინძლებენ პარკში მოსულ სტუმრებს; მხიარული სტარტები: რიყის პარკში 7 იანვრის ჩათვლით მოაწყობენ სხვადასხვა გასართობ ღონისძიებებს, სადაც მოსულ სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ღონისძიებებში; დრიფტ შოუ: მეტეხის ხიდზე 26 დეკემბერს გამართავენ შოუს; ილუზიონისტები რიყის პარკში 7 იანვრის ჩათვლით გამართავენ სხვადასხვა წარმოდგენებს; მოძრაობის თეატრი რიყის პარკში 25, 26, 30 და 31 დეკემბერს და 1, 3 და 7 იანვარს გამართავს სხვადასხვა სახის წარმოდგენებს; სანტა-კლაუსი და გრინჩი რიყის პარკში 28 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით გამართავენ სხვადასხვა სახის „**FLASH MOB**“-ს;

## დაუბეგრავი მინიმუმი აღარ გაუქმდება



პარლამენტის გადაწყვეტილებით დაუბეგრავი მინიმუმი აღარ გაუქმდება. პროექტის თანახმად, 2015 წელს მიღებულ შემოსავლებზე დაუბეგრავი მინიმუმის პრინციპი აღარ გავრცელდება, ხოლო 2013-2014 წლების შემოსავლებზე 2015 წლის 30 სექტემბრამდე მოქალაქეებს შეეძლებათ, გააკეთონ განაცხადი და მიიღონ დაუბეგრავი მინიმუმი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სირიაში კიდევ ერთი პანკისელი გარდაიცვალა



სირიაში საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე გარდაიცვალა. 18 წლის ქისტი, პანკისის ხეობის მკვიდრი ისრაფილ ცათიაშვილი, სავარაუდოდ, საბრძოლო მოქმედებების დროს დაიღუპა. ძმები ცათიაშვილები ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთ ლიდერთან, თარხან ბათირაშვილთან, იგივე ომარ ალ-შიშანთან დაახლოებული პირები იყვნენ. (ნიუპოსტი)

## ფარულ მოსმენებზე ნებართვის 654 მოთხოვნიდან, სასამართლომ 540 დააკმაყოფილა



თბილისის საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით:

„2014 წლის 1-ლი იანვრიდან 2014 წლის 1-ელ დეკემბრამდე მდგომარეობით, თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს პროკურატურიდან სულ შემოსულია 654 შუამდგომლობა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერის ნებართვის გადაცემის შესახებ, აგრეთვე, განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედების – სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება, ჩაწერის კანონიერად ცნობის მოთხოვნით. აქედან, სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა 540 შუამდგომლობა. მათ შორის ზემოხსენებული მოთხოვნით, 2014 წლის სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებში შემოსულია 126 შუამდგომლობა და სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა 74“. (ინტერპრესნიუსი)

## ყაჩაღობა ლოტკინზე



„პირველ რადიოს“ მიაწოდეს ინფორმაცია, რომ თბილისში, ლოტკინზე ე.წ. ბოშების დასახლებაში შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. თავდამსხმელები ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებული და ნიღბები ეკეთათ. „პირველი რადიო“ ინფორმაციის გადასამოწმებლად შსს-ს პრესსამსახურს დაუკავშირდა, თუმცა, როგორც უწყებაში განაცხადეს, ინფორმაციას არ ადასტურებენ და ამბობენ, რომ ლოტკინზე არაფერი მომხდარა. (პირველი რადიო)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# „ლუკოილმა“ და „სოკარმა“ საწვავის ფასები 5-7 თეთრით შეამცირა

## რატომ გადაიტანა კონკურენციის სააგენტომ კვლევის შედეგების გამოცხადება 26-დან 29 დეკემბრამდე?



ყველაფერი 16 დეკემბერს დაიწყო... „ალიაში“ გამოვაქვეყნეთ პუბლიკაცია საწვავის ქართულ ფასებთან დაკავშირებით, სადაც „მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ ხელმძღვანელმა, ბექა კემულარიამ კონკურენციის სააგენტოს მისამართით გამოთქვა პროტესტი (ამის გამეორება ხშირად გვიწევს, მაგრამ აუცილებელია). მისი გაანგარიშებით, დღეს ჩვენს ქვეყანაში 1 ლიტრი საწვავის შემოტანა, აქციზის გადასახადიანად, სატრანსპორტო, სარეალიზაციო, ადმინისტრაციული და ზედნადები ხარჯების ჩათვლით, ჯდება 1 ლარი და 10 თეთრი. ჩვენი პუბლიკაციის გამოქვეყნების შემდეგ დღე, ზუსტად ერთ დღეში, 17 დეკემბერს ამ თემას მთავრობის სხდომაზე გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც. მან საგანგებოდ დაავალა კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელობას, 10 დღეში საზოგადოებას წარმოუდგინოს საწვავის ბაზრის კვლევის ანგარიში და გაგვარკვიოს, რატომ არ იაფდება ნავთობი საქართველოში მაშინ, როცა მსოფლიო ბაზარზე 120 დოლარიდან 60 დოლარამდე ჩამოვიდა. იმავე დღეს დაგვიკავშირდა კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელი, გიორგი ბარაბაძე და გვითხრა, რომ ის 10 დღეში წარმოადგენს ანგარიშს, სადაც გასაგებად იქნება ახსნილი, გვაქვს თუ არა საქმე მონოპოლიასთან და შეთანხმებულ ფასებთან. ჩვენ არ გვქონია ილუზია, რომ პრემიერ-მინისტრის გამოსვლას საწვავზე ფასების ვარდნა მოჰყვებოდა, მაგრამ ვიფიქრეთ, თვალშისაცემი შემცირებები იქნებოდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა 17 დეკემბრიდან 24 დეკემბრამდე არაფერი შეცვლილა. ერთადერთი კომპანია აღმოჩნდა „რომპეტროლი“, რომელმაც 18 დეკემბერს „ევრო-98“ 2 თეთრით შეამცირა, ხოლო „ევროპრემიუმი“ და „ევრორეგულარი“ – 5 თეთრით. სპეციალისტების თქმით, ამ კომპანიას ისედაც მაღალი ფასები ჰქონდა დაწესებული და ამის შემდეგ სხვებს გაუთანაბრა.

24 დეკემბერს „ქართული დასის“ ლიდერმა, ჯონდი ბაღათურიამ თავის აქტივისტ მძღოლებთან ერთად გამაფრთხილებელი აქცია გამართა. მათ დაიწყეს სვლა რესპუბლიკის მოედნიდან და 1-წუთიანი „სიგნალებით“ დაამთავრეს მთავრობის ადმინისტრაციასთან. როგორც ჩანს, ჩვენმა პროტესტმა, პრემიერ ღარიბაშვილის დაინტერესებამ და ბაღათურიას შეძახილმა, ანუ „დაპიპინებამ“, ცოტაოდენი შედეგი გამოიღო, „ლუკოილმა“ და „სოკარმა“ საწვავზე ფასები 5-7 თეთრით დასწიეს.

როგორც კონკურენციის სააგენტოს პრესსამსახურის უფროსმა, ნინო წივწივაძემ „ალიას“ განუცხადა, ანგარიშის წარმოდგენა 26 დეკემბრისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ ვინაიდან ამ დღეს პრემიერ-მინისტრის პრესკონფერენციაა დაგეგმილი, 29 დეკემბრისთვის, ორშაბათისთვის გადაიდო. რაც შეეხება ანგარიშის დეტალებს, სააგენტოს ხელმძღვანელობა ამაზე წინასწარ კომენტარს არ აკეთებს. შესაძლოა, ეს ისეთი „ბომბია“, მაინცდამაინც ორშაბათს უნდა გასკდეს.

**ჯონდი ბაღათურიას თქმით, ნავთობკომპანიებს უნდათ თუ არა, მაინც მოუწევთ ფასების დაწევა. ყოველ შემთხვევაში, ის არ აპირებს ბრძოლის შეწყვეტას:**

**— ჯონდი, 25 დეკემბერს „ლუკოილმა“ და „სოკარმა“ 5-7 თეთრით შეამცირეს ფასები, ვითომ აქციების შეეშინდათ? როგორ ფიქრობ, ეს გვაძლევს რაიმე იმედს, რომ საწვავი 1,50 ლარი გახდება?**

– ეს აუცილებლად მოხდება, მე ძალიან ბევრ ხალხს გამოვიყვან ქუჩაში. მთელი გეგმა მაქვს შემუშავებული.

**— რა გეგმაა?**

– ათასნაირი რაღაც მაქვს მოფიქრებული, შეიძლება მანქანები საერთოდ გავაჩეროთ რუსთაველზე.

**— რას ელოდები?**

– მე 29 დეკემბერს მექნება შემაჯამებელი ბრიფინგი, ამათ მივცემ რამდენიმე დღეს, თუ საწვავის ფასი არ მიუახლოვდება ლარნახევარს, შემდეგ დავნიშნავთ დღეს, როცა უნდა დავიწყოთ აქტიური აქციები. 15 იანვრამდე ქართველებს ინდაურის ბარკალს ვერ გააგდებინებ ხელიდან, მანამდე აზრი არ აქვს, შემდეგ კი დავიწყებთ.

**— კიდევ ერთი სიახლეა, ორშაბათს კონკურენციის სააგენტო წარმოადგენს ანგარიშს და გვეტყვის, არის თუ არა საქართველოში მონოპოლია საწვავზე.**

– ძალიან კარგი, მეც ამის შემდეგ გავმართავ ბრიფინგს. მაქვს იმედი, რომ ცოტ-ცოტა ჩვენკენ წამოვლენ. იცი, რა არის? სულ 5 მონოპოლისტური კომპანიაა და აქედან 2 მთავრობისაა – „ლუკოილი“ და „რომპეტროლი“. „სოკარი“ აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანიაა და ჩათვალე, რომ ესეც სამთავრობოა. მაგალითად, შუა აზიიდან საწვავი რომ შემოიტანო, „სოკარის“ ხელმძღვანელობისგან უნდა აიღო კვოტა. ერთი ვიცი, ამ საქმეში ჩაება და მაგრად „გაჭედეს“, ლამის ფინანსურად დალუპეს, წადი, ძმაო, კვოტა აიღე, ისე ერთ ცისტერნასაც ვერ შემოიტანო. ეს არ არის მონოპოლია? ჩვენ მეტი გზა არ გვაქვს, უნდა ვიბრძოლოთ.

**— „ლუკოილი“ და „რომპეტროლი“ მთავრობისაა, ამბობ. კონკრეტულად ვისი?**

– ოფიციალურად სხვები არიან მფლობელები, მაგრამ მათ უკან ხელისუფლების კვალი იკვეთება. ვაზუსტებ და ინფორმაციას მოგაწვდი.

**26 დეკემბერს მთავრობის კანცელარიასთან ამავე თემაზე აქციას მართავენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კერძოდ: „მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოება“ და მოძრაობა „პროტესტი საწვავის ქართულ ფასებს“ [illegible] შედეგი ექნება კიდევ ერთ აქციას.**

555 48-48-61

### 25 დეკემბრის მონაცემებით, საწვავზე ფასები ასე გამოიყურება:

**„ვისოლი“**
(ფასები უცვლელია)

სუპერი – 2,11
პრემიუმი – 2,06
ევრორეგულარი – 1,91
რეგულარი – 1,88

**„გალფი“**
(ფასები უცვლელია)

სუპერი – 00
პრემიუმი – 2,09
ევრორეგულარი – 1,99
რეგულარი – 1,89

**„რომპეტროლი“**
(ფასები უცვლელია)

ევრო-98 – 2,17
ევროპრემიუმი – 2,03
ევრორეგულარი – 1,87

**„ლუკოილი“**

ევროსუპერი – 2,04 (-5)
პრემიუმავანგარდი – 1,94 (-7)
ევროპრემიუმი – 00
ევრორეგულარი – 1,79 (-5)

**„სოკარი“**

სუპერი – 2,05 (-5)
ნანოპრემიუმი – 1,94 (-7)
ევრორეგულარი – 1,86 (-5)
ნანორეგულარი – 1,83 (-5)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...



## საფეხბურთო ნაკრების მთავარ მწვრთნელად კახა ცხადაძე დაინიშნა

საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მთავარ მწვრთნელად კახა ცხადაძე დაინიშნა. ცხადაძე ამ თანამდებობაზე მუშაობას 2015 წლის 1-ლი იანვრიდან შეუდგება. ცხადაძის თქმით, ის ყველაფერს გააკეთებს, რომ საქართველოს ნაკრების გულშემატკივარი გაახაროს.

ცხადაძე ამჟამად წვრთნის ბაქოს „ინტერს“. ფეხბურთის ფედერაციისა და „ინტერის“ შეთანხმებით, ცხადაძე ორივე გუნდში ერთდროულად იმუშავებს. (ნიუპოსტი)

## მამაკაცის მკვლელობაში ეჭვმიტანილი მისივე გერია



ლანჩხუთში ნაპოვნი მამაკაცის გვამი ამოცნობილია. როგორც გაირკვა, გარდაცვლილი ჯურუყვეთში მცხოვრები ე.გ-ია. მკვლელობაში ეჭვმიტანილი გარდაცვლილის გერია, რომელიც ლანჩხუთის პოლიციამ დააკავა. შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

50 წლამდე მამაკაცის გვამი ლანჩხუთში გასულ თვეში, 15 ნოემბერს ე.წ. ატეკის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოაჩინეს. გარდაცვლილის ვინაობის დასადგენად გვამს ექსპერტიზა ჩაუტარდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „პრემიერის ეს განცხადება სურვილს მიჩენს, მივცხო პირზე ხელუკუღმა“



„ტაბულას“ დირექტორი თამარ ჩერგოლეიშვილი თავდაცვის უწყების სკანდალურ განცხადებაზე პრემიერ-მინისტრის კომენტარს ეხმაურება.

„საქართველოს თავდაცვის მინისტრს „არც ეუხერხულება და არც არაფერი“ – პრემიერის ეს უტიფარი და ლაჩრული განცხადება მთელი დღეა თავში მიტრიალებს და გამოვტყდები, რომ მხოლოდ ერთ, არცთუ საამაყო სურვილს მიჩენს – საჯაროდ მივცხო პირზე ხელუკუღმა. უკანა კარიდან გაპარული თავდაცვის მინისტრი რომ მახსენდება, ეს არცთუ მოსაწონი სურვილი კიდევ უფრო მიძლიერდება.

ერიხ მარია რემარკის „დასავლეთის ფრონტზე სიახლე არ არის“ პირველი წიგნია, რომელმაც ჯარისკაცის სიცოცხლე ახლო მანძილიდან დამანახა. ამ ნოველის ბოლო აბზაცი დღემდე ზეპირად მახსოვს (რუსულად). შევეცდები ვთარგმნო. „ის დაეცა 1918 წლის ოქტომბერში. ამ დღეს მთელ ფრონტზე ისეთი სიწყნარე იყო, რომ ჯარის რეპორტი მხოლოდ და მხოლოდ ერთი წინადადებისგან შედგებოდა: დასავლეთის ფრონტზე სიახლე არ არის. სახით დაეცა და ისე იწვა, თითქოს ეძინა. როდესაც გადმოაბრუნეს, ნახეს, რომ დიდხანს არ უწვალია. სახეზე მშვიდი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს კმაყოფილი იყო, რომ სიცოცხლე დასრულდა“.

არ ვიცი, რას ფიქრობდა ალეკო გრიგოლაშვილი, როცა კვდებოდა, მაგრამ რატომღაც მჯერა, იმას ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი ქვეყნის ხელისუფლება ანგარებაში დაადანაშაულებდა, შეურაცხყოფდა და ამის გამო უხერხულობასაც არ იგრძნობდა. **Irakli Garibashvili Official** – სად გაიზარდე?“, – წერს ჩერგოლეიშვილი სოციალურ ქსელში. (ნიუპოსტი)

# რამდენიმე რჩევა დამწყებ დეგუსტატორებს

## განსხვავება ლუდის სასიამოვნო სმასა და შედარებით უფრო სერიოზულ საქმიანობას — დეგუსტაციას შორის

ლუდის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ არსებობს განსხვავება სასიამოვნო სმასა და შედარებით უფრო სერიოზულ საქმიანობას – დეგუსტაციას შორის. სმა ჩვეულებრივი და მადისაღმძვრელი პროცესია, მაშინ როცა დეგუსტაციას თავისი სტრუქტურა აქვს. სმა ბუნებრივად ხორციელდება ხოლო დეგუსტაციას სჭირდება ტრენინგი და ძალისხმევა. ამ უკანასკნელში დახელოვნება ლუდის სამყაროში უამრავ შეუცნობელ კარს აღებს და სერიოზულობასა და პრესტიჟულობას ანიჭებს დეგუსტატორს.

მაინც რას ნიშნავს ეს? დეგუსტაციის მიზანია, თქვენს წინ არსებული ლუდის შესახებ მოიპოვოთ შეძლებისდაგვარად მაქსიმალური ინფორმაცია. დეგუსტაციას აქვს მიზანი და სასურველი შედეგი და ის შეიძლება მრავალფეროვანი იყოს. ლუდსახარშის დეგუსტატორები ხარისხის კონტროლის განხორციელებისას ცდილობენ, გამოავლინონ ზედმეტი არომატი და თუნდაც ნებისმიერი გადახრა ლუდის გემოვნური მახასიათებლებიდან. ლუდის ჩამოსხმის სპეციალისტებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი პრობლემები, რომელთა ძირეულ მიზეზებს შორისაა შენახვის ვადა ან ჩამოსასხმელი სისტემის პრობლემები.

მიდგომის მიუხედავად, ჩვენ ყველანი ვმუშაობთ ჩვენი გონებისა და სხეულის კონკრეტული ინსტრუმენტებით და სტრუქტურული კომპონენტებით. დახვეწილი ტექნიკით, ტრენინგითა და პრაქტიკით ჩვენ შეგვიძლია, დიდი ინფორმაციის მიღება ლუდის მცირე ნიმუშიდანაც კი. რამდენიმე მარტივი წესი და პრაქტიკა სამუშაოს შესრულებადს ხდის.

მოდით, დავიწყოთ ჭიქით. თეთრი ღვინისთვის განკუთვნილი ჭიქა იდეალურია, მაგრამ მილიონობით ლუდის ნიმუშის მოთავსება და შეფასება ხდება პლასტმასის გამჭვირვალე ჭიქებში. იმის მიუხედავად, რომელ ჭურჭელს გამოიყენებთ, ნუ შეავსებთ მას მესამედზე მეტად. თქვენ უნდა დატოვოთ გარკვეული თავისუფალი სივრცე არომატის შესაგრძნობად. დარწმუნდით, რომ ლუდს აქვს სათანადო ტემპერატურა: ლაგერებს და ღია ფერის ელებს გაყინვის ტემპერატურაზე რამდენიმე გრადუსით მაღალი, ხოლო შედარებით უფრო მძიმე ლუდებს – ცივი სარდაფის ტემპერატურა. გახსოვდეთ, რომ ლუდი სწრაფად თბება ჩამოსხმის შემდეგ. თუ ლუდი ზედმეტად ცივია, შემოაჭდეთ ხელი ჭიქას და კანის მინასთან კონტაქტის შედეგად ის მალე გათბება.

„ახლახან საკმაოდ გამიმართლა და სამი დღე გავატარე **Cicerone**-ს სერტიფიცირების პროგრამის პერსონალთან ერთად **Aroxa**-ს პრეზიდენტ დოქტორ ბილ სიმპსონის ხელმძღვანელობით", – წერს ერთ-ერთი დეგუსტატორი.

კომპანია აწარმოებს სადეგუსტაციო ნიმუშების ასაღებ მასალას ლუდისთვის და სხვა დარგებისთვის. მისი პირველი ინსტრუქცია იყო ლუდის ნიმუშის შემცველი ჭიქის აღება და მისი დატრიალება საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით, 45 ბრუნი წუთში სიჩქარით. „ეს საჭიროა თქვენი კუნთების მეხსიერებისთვის", – აღნიშნა მან. „მსურს თქვენმა ტვინმა იცოდეს, რომ როდესაც თქვენ ამას აკეთებთ თქვენ იმყოფებით დეგუსტაციის რეჟიმში".

**— დეგუსტაციაში მონაწილე ფსიქოლოგიურ პროცესებში ჩაღრმავება ცოტა კატების მწყემსვას წააგავს. წარმატების მისაღწევად ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ტვინის სხვადასხვა უბნებთან მაგრამ ყველა მათგანი როდია ჩვენი ცნობიერების კონტროლქვეშ. ბევრი, მაგალითად, ნუშისებრი, სხეულის მსგავსად, განაპირობებს ჩვენი ემოციების ჩრდილოვანი მხარის ფორმირებას. თქვენ უნდა გამოსცადოთ ეს ფსიქოლოგიური პროცესები, როცა შეგიძლიათ და დარწმუნდეთ, რომ ტრენინგით, პრაქტიკითა და გამოცდილებით ისინი შეიძლება გახდნენ დეგუსტაციის ინსტრუმენტები თქვენთვის, — იხსენებენ გამოცდილი დეგუსტატორები.**



### რჩევა 1

აუცილებელია, რომ თქვენ იმყოფებოდეთ დეგუსტაციის და არა სმის რეჟიმში. მნიშვნელობა აქვს დეგუსტაციას წყნარ გარემოში, სადაც ყურადღება არაფერზე გეფანტებათ. დეგუსტაციის ფურცელი საშუალებას გაძლევთ, ყურადღება გაამახვილოთ ლუდის ყოველ მახასიათებელზე და შესაძლოა, შეგახსენოთ კიდეც ყურადღების გამახვილება კონკრეტულ არომატებზე. უბის წიგნაკის ცარიელი ფურცელიც კი შეიძლება გამოსადეგი იყოს. სიტყვების უბრალო დაწერა ფურცელზე გაიძულებთ, რომ დეგუსტაციის დროს ყურადღება დეტალებზე გაამახვილოთ, ხოლო დაწერილი სიტყვებისთვის თვალის შევლება გვახსენებს იმ მოსაზრებებს, რომლებიც ჩვენს ტვინში ჩნდება სხვადასხვა გზების საშუალებით და ამატებს კიდევ ერთ შრეს ცოდნასა და გამოცდილებას.

### რჩევა 2

უპირველესად, თუ შესაძლებელია, ლუდი თვითონვე დაისხით. ის პირდაპირ ჭიქის შუაგულში ჩაასხით რომ ქაფი წარმოიქმნას. დააკვირდით. გრძნობთ რაიმე სურნელს მაგიდაზე მდგარი ჭიქიდან? აიღეთ ჭიქა და შეეცადეთ, რომ იქიდან მომდინარე არომატმა თქვენი ცხვირი გაიაროს, ეს არის ტექნიკა, რომელსაც „ჩავლითი" დეგუსტაცია ეწოდება. როგორ სურნელს გრძნობთ? შესაძლოა, უცნაურია, მაგრამ ლუდში წარმოდგენილია ძალზე არამყარი ნაერთები რომელთა სურნელის შეგრძნობა ყველაზე უკეთესად გარკვეული მანძილიდან შეიძლება და მიეცით თქვენს ცხვირს საშუალება, რომ მათ შეეჩვიოს.

### რჩევა 3

შემდეგ ჭიქა ცხვირთან მიიტანეთ და რამდენიმე მოკლე შესუნთქვა გაკეთეთ. რა შენიშნეთ? შეეცადეთ, დაყოთ ის, თუ რას გრძნობთ, შემდეგ კატეგორიებად: პურის, ალაოს, ნამცხვრის, კარამელის, დამწვარი შაქრის, ტოსტის, ან შესაძლოა, სვიის მცენარეული, ყვავილოვანი ან ხილის ნოტები ან საფუარის სანელებლიანი, ხილის ან გარეული ნოტები. თუ თქვენ ვერ მიიღეთ სასურველი ინფორმაცია, დააფარეთ ცალი ხელი ჭიქას ზევიდან და დაატრიალეთ, შემდეგ ხელი მოაშორეთ ჭიქას და იმავდროულად დაყნოსეთ. თუ ლუდი ცივია, ცოტა შეათბეთ. თუ არომატი აღძრავს თქვენში მოგონებებს, მიჰყევით მას წყაროსკენ, შესაძლოა, ეს საკონდიტროს, ბებიის სამზარეულოს ან სხვა რამეს გახსენებთ. საკმაოდ ხშირად ეს საკმარისია, რომ კონკრეტული სიტყვა დაასახელოთ.

ამოცანა ასეთია: ლუდში შემავალი ქიმიური ნაერთების დასახელება შეძლებისდაგვარად. ამის განსახორციელებლად ახალგაზრდა დეგუსტატორებს აკლიათ მომზადება და გამოცდილება, ამიტომ, თუ თქვენ დამწყები ხართ, ნება მიეცით თქვენს შთაბეჭდილებებსა და ემოციებს გაგიტაცონ შესაბამისი მიმართულებით. ჩაინიშნეთ მაქსიმალურად ბევრი დეტალი და განაგრძეთ.



### რჩევა 4

დაუთმეთ დრო ლუდზე დაკვირვებას. მადის აღმძვრელია თუ არა ის? არის თუ არა ქაფი ბევრი და მდგრადი? როგორია მისი გამჭვირვალობა და ფერი? მაგრამ ნუ დახარჯავთ ბევრ დროს ლუდის ვიზუალურ მხარეზე დაკვირვებაზე. საშუალო ადამიანს შეუძლია, ფერში მცირე განსხვავებების დაფიქსირება უფრო უკეთ, ვიდრე არომატების განსხვავება. თუ რას ნიშნავს ეს, არის ის, რომ თვალები განსაზღვრავს მოლოდინს, ხოლო ჩვენი შინაგანი მხარე გაარკვევს, არის თუ არა ეს მახასიათებლები წარმოდგენილი. შავი ლუდი? ის უნდა იყოს ცოტა დამწვარი გემოს მქონე, ხომ მართალია? ჩამოუსხამს თუ არა ვინმეს თქვენთვის შავი ინდური და სტანდარტული ელი ისე, რომ სითხე არ დაგენახათ. მათი განსხვავება უფრო რთულია, ვიდრე გგონიათ. მომზადებული დეგუსტატორები და ლუდის შემფასებლები მუდმივად მუშაობენ, რომ საკუთარმა თვალმა ისინი შეცდომაში არ შეიყვანოს.

### რჩევა 5

ახლა მოსვით. გახსოვდეთ, რომ გემო იცვლება ყოველ წამში. ჭეშმარიტად სვიის შემცველი ლუდის შემთხვევაში შეიძლება მთელი წუთი ან მეტი დასჭირდეს სრული შედეგის მიღებას. მჟავიანობა აღინიშნება მომენტალურად, შემდეგ სიტკბოს ნიშნები შეიმჩნევა და აი, სიმწარეც აღინიშნება, რომელიც თანდათანობით ძლიერდება. ნუ იჩქარებთ გადაყლაპვას. მიეცით ლუდს თქვენი პირის ღუში გათბობის საშუალება და შემდეგ ნელ-ნელა გადაყლაპეთ. აღნიშნულის პარალელურად ჩაისუნთქეთ ნაზად დახურული ტუჩებით. ეს არის რეტრონაზალური გემო და ის ააქტიურებს თქვენი ყნოსვის სისტემის ნაწილს, აგზავნის სიგნალებს, რომლებიც აღიქმება უფრო მეტად გემოდ, ვიდრე არომატად და რომლებიც ძლიერ მორგებულია ნაცნობ შეგრძნებებსა და უპირატესობებზე. ხშირად თქვენ შეგიძლიათ, ამ ტექნიკის გამოყენებით დამატებითი ინფორმაციის მოპოვება.

### რჩევა 6

დეგუსტაციის დროს ასევე მნიშვნელოვანია, ყურადღება მიაქციოთ ლუდის ტექსტურას ან გემოს. ლუდი კოლოიდური სითხეა, რომელიც გარკვეულად გათხელებული ჟელეს მსგავსია: ცილის მოლეკულების ბადე ქმნის სიბლანტეს, რომელიც პასუხისმგებელია ლუდის ტექსტურაზე. გაზირებაც თვალსაჩინო მახასიათებელია. ძლიერ ლუდებში ალკოჰოლი შეიძლება იყოს „ცხელი" ან პილპილისებრი. ნებისმიერი მწკლარტე გემო ყველაზე მეტად შესამჩნევი იქნება დაგემოვნების ბოლოსკენ.

### რჩევა 7

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ენით განვასხვავოთ შენაგრძნობი გემო, მაგალითად, ტკბილი, მწარე და მჟავე არომატებისგან. თითქოს ეს იოლია, მაგრამ კაპიტან კერკის პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, ჩვენ მანქანები არ ვართ. ჩვენი ტვინი აერთიანებს გემოსა და არომატს, განსაკუთრებით, როცა რაიმე გვაქვს პირის ღრუში. განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება მათ გამოყოფას ერთმანეთისგან.

### რჩევა 8

და დეგუსტაციის ბოლოს, როცა ლუდმა დატოვა თქვენი პირის ღრუ, მაგრამ გემო დარჩა შესაძლოა, გარკვეული სიმწარით ან შესაძლოა, სხვა შეგრძნებით, როგორიცაა მთრიმლავი შეგრძნება. გემოს კონცეფციას აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული და შესაძლოა, დასრულების შემდგომი ეტაპიც მნიშვნელოვანი იყოს. ჭეშმარიტად დიდებულ ლუდს აქვს დიდებული გამო და სურნელი მთელი პროცესის განმავლობაში.

### პრაქტიკის მნიშვნელობა

პროცესი არ შეიძლება გადაჭარბებული იყოს. იმისთვის, რომ დახელოვნდეთ, აუცილებელია, რეგულარულად მიიღოთ მონაწილეობა ფორმალიზებულ დეგუსტაციებში. ყველაზე საუკეთესო გზა? შეაფასეთ სახლში მოხარშული ლუდი. კლუბების უმრავლესობას აქვს ყოველწლიური შეჯიბრებები (შესაძლოა, თქვენს ქვეყანაშიც იყოს რამდენიმე ასეთი კონკურსი) და ამ კონკურსების მოსაწყობად სერიოზულ დეგუსტატორებზე ყოველთვის მოთხოვნაა. მნიშვნელობა არ აქვს, თქვენ თვითონ ხარშავთ ლუდს თუ არა, თუმცა ნებისმიერი ადამიანისთვის, იმისთვის რომ გახდეს ექსპერტი დეგუსტატორი, მნიშვნელოვანია, მონაწილეობა მიიღოს ხარშვის პროცესში, როგორც ასისტენტმა ან დამკვირვებელმა მაინც. ლუდის შემფასებელთა სერტიფიცირების პროგრამა **(BJCP.org)** მნიშვნელოვანი და საინტერესოა. მართალია, რეგულარული მეცადინეობები პროგრამის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული, ხელმისაწვდომია უფასო სასწავლო მასალები და ადამიანები, რომლებიც გეგმავენ სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას, ქმნიან სასწავლო ჯგუფებს სპონტანურად, რეგულარულად აწყობენ შეხვედრებს და განიხილავენ ლუდის ტიპებს.

### დაბოლოს

მოემზადეთ ხანგრძლივი პროცესისთვის. არ არსებობს მოკლე გზა ამ ხელოვნების დასახვეწად. მე ამ საქმიანობით 25 წელზე მეტი ხანია ვარ დაკავებული და ყოველი დეგუსტაციის შემდეგ მუდმივად ვსწავლობ რაიმეს სრულიად ახალს ჩემთვის. ეს მთელი ცხოვრების განმავლობაში მიმდინარე პროცესია, რომელსაც ბოლო არ უჩანს. ამ გზაზე ასევე გიყალიბდებათ რწმენა საკუთარი თავისადმი, რაც დეგუსტაციას სახალისო პროცესად აქცევს.

**ნუ დანებდებით. ერთ დღესაც სადილის დროს ინსტინქტურად აიღებთ წყლის ჭიქას, დაატრიალებთ მას საათის ისრის საწინააღმდეგოდ და დაიწყებთ კრიტიკული ყნოსვის სერიას, სანამ რეალობას დაუბრუნდებით. ამ მომენტში თქვენ მიხვდებით, რომ უკვე დეგუსტატორი ხართ.**

# როგორ უშიფრავს ნიკა მელია კორუფციულ სქემას „ალიას“ და რას პასუხობს მერია

**„ნაცმოძრაობის“ წევრის, ნიკა მელიას განცხადებით, დიდუბეში, ჭიაურელის ქუჩის რეაბილიტაციაზე, რომელიც 11 იანვრისთვის უნდა დასრულდეს, სარემონტო სამუშაოები არ მიმდინარეობს იმის მიუხედავად, რომ პროექტის ღირებულების 95% კომპანიას მერიამ ერთი თვის წინ გადაურიცხა. „ეს არის კლასიკური კორუფციული სქემა, როდესაც დედაქალაქის მერია ვერ ხარჯავს თანხას და წინასწარ ურიცხავს კომპანიებს. თითქმის ასამდე კომპანიაა თბილისში, რომელსაც წინასწარ ჩაურიცხეს თანხა და სამუშაოები არ შესრულებულა.**

**როგორ შოულობენ დამატებით ფულს და რამდენს ზარალობს მერია? მინისტრობის დროინდელ რა მეთოდს იყენებს მუშაობისას ნარმანია?**

**„ალიას“ ნიკა მელია ესაუბრა:**

**— ბატონო ნიკა, თანხის ავანსად ჩარიცხვა რანაირად არის კორუფცია?**

– რა უნდა ვიფიქრო, თუ არა კორუფციული გარიგება, როცა არ ატარებ ტენდერს და შენი შეხედულებისამებრ აფორმებ კონტრაქტს ნებისმიერ ფირმასთან, მით უმეტეს, როცა ეს კომპანია არ არის გზების სამშენებლო კომპანია. მალე მოუწევთ მერიის მაღალჩინოსნებს ამაზე პასუხისგება. ბოლო დროს ეს თანხა გამოყარეს, რადგან ვერ ხარჯავენ თანხას და ზარალი ადგება მერიას. ეს თანხა დევს მერიის ანგარიშზე, ინახება კომერციულ ბანკებში, რომელსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი ყოველთვიურად, ანუ ხდება კაპიტალიზაცია, რაც მერე მერიის მიზნებსა და ამოცანებს ხმარდება. როცა ანგარიშიდან ხსნი მილიონობით ლარს და იხდი შეუსრულებელ სამუშაოებში, ვითომდა სასწრაფო მიზნით, ამით მერიას ზარალი ადგება. დაახლოებით 8 მილიონი ლარი ვერ აითვისეს და აღმოჩნდნენ ცუდ მდგომარეობაში. ნარმანიას დაემართა ის, რაც დაემართა ინფრასტრუქტურის მინისტრობის დროს, როცა ნაშთი დარჩა 10 მილიონი. თავისივე ბრძანებით დააკანონა ავანსის მიცემა და სავალდებულო გახადა. რამდენიმე კომპანიასთან მქონდა პირადი საუბარი და მითხრეს, რომ ამის არანაირი სურვილი მათი მხრიდან არ ყოფილა, სულაც არ უნდოდათ 95%-ის აღება ავანსის სახით.

**— როდის ჩაურიცხეს ეს ფული?**

- ბოლო 1 თვის მანძილზე, როცა დაინახეს, რომ თანხას ვერ ხარჯავენ, სასწრაფოდ დაიწყეს ტენდერების გვერდის ავლით ფულის ხარჯვა. ჩვენ გვაქვს ას კომპანიაზე მეტის ნუსხა, ვისაც ასე დაუკვეთეს სამუშაოები. ზოგს დაწყებულიც არ აქვს ეს სამუშაოები. ზოგს დაუკვეთეს სკვერები, ზოგს - გზა. ტენდერის გარეშე „ფორსმაჟორს“ რომ არქმევ, ეს ნიშნავს, რომ, როგორც მინიმუმ, 3-4 დღეში უნდა დაიწყო, მაგრამ, როცა თვე-ნახევარი არ იწყებ, უკვე ეჭვებს ბადებს. ახალი წლის შემდეგ ვამცნობთ საზოგადოებას იმ კორუფციული სქემის შესახებ, რომელშიც ჩართული არიან მერიის მაღალჩინოსნები, განსაკუთრებით მარგიშვილი.



**„ალია“ კომენტარისთვის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსს ავთანდილ სუდაძეს დაუკავშირდა:**

**— ბატონო ავთანდილ, ნიკა მელია ამბობს, რომ მერია საეჭვოდ გასცემს ავანსებს და ჩაფლულია კორუფციაში, განსაკუთრებით მარგიშვილი...**

– რაც შეეხება კორუფციულ მომენტებს, ნიკა მელიას არ ახსენდება მათი მმართველობის პერიოდი, ჩვენს სფეროში არანაირი საფუძველი არ არსებობს კორუფციის. ეს არის აბსურდული განცხადება და არის ტალახის სროლა მხოლოდ. რაც შეეხება ავანსების გაცემას, ეს თავის დროზე ხდებოდა ყოველგვარი დაზღვევის გარეშე, საბანკო გარანტიების გარეშე და პირადი ურთიერთობებით, ჩვენს შემთხვევაში ყველა ავანსი გაცემულია საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ. ჩვენ ეს თანხა მივეცით კომპანიებს იმიტომ, რომ საბრუნავი რესურსი ჰქონოდათ. შესაბამისად, არ შეფერხებულიყო სამუშაოები.

**— თანხები გაცემულია და სამუშაოები ბევრგან ჯერ არც კი დაწყებულაო.**

– საქმე ისაა, რომ სამუშაოები დაიწყო მაშინ, როცა ხელშეკრულებები დაიდო, გრაფიკი არ დარღვეულა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გზის კეთების დროს საჭირო გახდა წყლის მილების რეაბილიტაცია. გაუთვალისწინებელი სამუშაოები აღმოჩნდა და მშენებლობა შეჩერდა. მელიამ კი იპოვა ერთადერთი ქუჩა, სადაც ეს მოხდა და დაიწყეს ტალახის სროლა. საერთოდ არ არსებულა პრობლემა. ძალიან კარგად ვაკონტროლებთ, როგორ ხორციელდება სამუშაოები, ყოველდღიური მონიტორინგი გვაქვს, დაქირავებული კონტრაქტორებიც აკონტროლებენ. ბევრ ქუჩაზე მიმდინარეობს სამუშაოები და იქ ასფალტი არ არის დაგებული, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, ამას აქვს ობიექტური მიზეზები.

**ჟანა ასანიძე**

568 00 14 14

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## უკრაინის შს მინისტრის მოადგილის კაბინეტში სათვალთვალო მოწყობილობა აღმოაჩინეს



უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ სერგეი ჩაბოტარმა 23 დეკემბერს თავის სამუშაო კაბინეტში მის კაბინეტში აღმოჩენილი მოწყობილობა წარუდგინა, რომელიც აფიქსირებდა ყველაფერს, რაც მის კაბინეტში ხდებოდა. მინისტრის მოადგილის განცხადებით არსებობს სამი ვარიანტი, ვისაც შეეძლო, ეს მოწყობილობა დაემონტაჟებინა, მათ შორისაა კორუმპირებული მილიციელები, რომელსაც მინისტრი სამსახურიდან უშვებს, მათ გაშვებას კი დოკუმენტურად სერგეი ჩაბოტარი აფორმებს, მეორე – უკრაინის უშიშროების სამსახური ან რუსული სპეცსამსახურები.

კამერა ჩამონტაჟებული იყო კარის ჩარჩოში, მას მუდმივი კვების წყარო ჰქონდა და ინფორმაციას რადიოარხით გადასცემდა. (ნიუპოსტი)

---

# ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით „მაგთიკომმა“ არქიტექტორ ვაჟა ორბელაძის ნამუშევართა ალბომი გამოსცა



რიგით მე-16 ალბომი წარუდგინა „მაგთიკომმა“ საზოგადოებას, რომელიც ამჯერად არქიტექტორ ვაჟა ორბელაძეს და მის უნიკალურ შემოქმედებას მიეძღვნა.

ხელოვნებათმცოდნეების თქმით, ვაჟა ორბელაძის შემოქმედება წარმატებული არქიტექტორის ნაყოფიერ და საინტერესო განვითარების გზას ასახავს. რაც მთავარია, მისი ინტერესების არეალი მხოლოდ არქიტექტურით არ შემოიფარგლება, იტაცებს სახვითი ხელოვნების ყველა დარგი და ყოველთვის ცდილობს, არქიტექტურაში მის ჩართვას, თანამედროვე ტენდენციებთან შეხამებას.

„მაგთიკომის“ ინიციატივითა და მხარდაჭერით გამოცემულ მორიგ ალბომში თავმოყრილია არქიტექტორის მიერ განხორციელებული პროექტები, ფოტოები, ფერწერა, გრაფიკა, მათ შორის წიგნის გრაფიკა. შესაბამისად, ერთად თავმოყრილი, ვაჟა ორბელაძის ცნობილი პროექტების ნახვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მომავალი თაობებისთვის იქნება.

როგორც თავად ვაჟა ორბელაძე ამბობს, „მაგთიკომის“ გარეშე ალბომი საერთოდ არ იარსებებდა, რისთვისაც კომპანიას ის გულწრფელ მადლობას უხდის.

**ნინო სურგულაძე. „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი:**

– ეს უკვე მე-16 ალბომია, რომელიც „მაგთიკომის“ ინიციატივითა და მხარდაჭერით გამოიცა. „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“ – ეს არის მიზეზი, რის გამოც „მაგთიკომი“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართული კულტურის გამორჩეულ წარმომადგენლებს.

რაც მთავარია, ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას კომპანია მომავალშიც გააგრძელებს.

**გოგი სალუქვაძე, არქიტექტორი:**

– ვაჟა ორბელაძე გახლავთ სწორედ ის ადამიანი, რომელიც დიდ ყურადღებასა და პატივისცემას სიცოცხლეშივე იმსახურებს. ამიტომ, „მაგთიკომის“ სურვილი – გამოეცა მისი ალბომი, ერთობ დასაფასებელია. მინდა, რომ ბატონ ვაჟას, ჩვენს კოლეგებს, არქიტექტორებს, მივულოცო ამ შესანიშნავი ალბომის გამოცემა. ვაჟას წარმატება ჩვენი საზოგადოების, ჩვენი პროფესიის აღიარება და წარმატებაა. მინდა ასევე აღვნიშნო, რომ ეს უნიკალური წიგნი საწნახელს ჰგავს, რომელშიც წლების განმავლობაში ნაკრეფი ყურძენი გროვდებოდა, იწურებოდა და ბოლოს ბრწყინვალე ზედაშე ღვინო გამოვიდა. ამისთვის კი მადლობა როგორც თავად ბატონ ვაჟას, ისე „მაგთიკომს“ ბრწყინვალე ინიციატივებისთვის.

**თაზო ხუციშვილი, მხატვარი:**

– „მაგთიკომის“ მიერ გამოცემული ყველა წიგნი მაღალი ხარისხითა და ღირებულებით გამოირჩევა, თუმცა ვაჟა ორბელაძის ალბომი, მათ შორის, ერთ-ერთი საუკეთესოა. წიგნის გამოცემა ყველას გვახარებს, როგორც ვაჟასა და მის ოჯახს, ისე მის მეგობრებს. ერთად გაზრდილები ვართ და ერთმანეთის წარმატებით ვამაყობთ. ასევე, მინდა სრულიად ქართველ საზოგადოებას, მხატვრებს მივულოცო ამ წიგნის შექმნა. „მაგთიკომს“ კი დიდ მადლობას გადავუხდი, ეს კომპანია არაჩვეულებრივ საქმეს აკეთებს. დარწმუნებული ვარ, წიგნს ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი ეყოლება, ვინაიდან ვაჟა ორბელაძის მხატვრობა, არქიტექტურა, გრაფიკა დიდ საქმეს გააკეთებს მომავალი თაობებისთვის.



**აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ კომპანიის ხელშეწყობით უკვე გამოიცა მხატვრების: ირაკლი ფარჯიანის, ედმონდ კალანდაძის, თემო ჯაფარიძის, რადიშ თორდიას, მერაბ აბრამაშვილის, კოკი მახარაძის, დიმიტრი ერისთავის, თემო გოცაძის, ჯიბსონ ხუნდაძის, ელგუჯა ამაშუკელის, ოთარ ჩხარტიშვილის, ემირ ბურჯანაძის, ბიძინა ავალიშვილის, ლევან ცუცქირიძისა და გოგი ჩაგელიშვილის ნამუშევართა ალბომები. ასევე, არქიტექტორების — გიგა ბათიაშვილისა და გივი ჯაფარიძის შემოქმედების ამსახველი წიგნები.**

*მიხეილ სახვაძე*

# რატომ დაუდგნენ თავდებში თავდაცვის მაღალჩინოსნებს დეპუტატები და ცნობილი ადამიანები?

**თავდაცვის სამინისტროს ყოფილ მაღალჩინოსნებს დეპუტატები და ცნობილი სახეები თავდებში უდგებიან. თავდებში მყოფი დეპუტატების სია ასე გამოიყურება: ზურაბ აბაშიძე, ანი მიროტაძე, შალვა კიკნაველიძე, ვიქტორ** დოლიძე, ირაკლი ჩიქოვანი, თამაზ შიოშვილი, თემურ მაისურაძე, მალხაზ ვახტანგაშვილი, ლევან ბერძენიშვილი, ნოდარ ებანოიძე, თინა ხიდაშელი, დავით ბერძენიშვილი, გიგლა აგულაშვილი, დავით ონოფრიშვილი, გია ცაგარეიშვილი, ნინო გოგუაძე, შალვა შავგულიძე. ასევე, ელდარ შენგელაია, ვახტანგ კახიძე, ჯემალ სეფიაშვილი, რატი ამაღლობელი, გიორგი ხოშტარია, დავით მაღრაძე, ნიკოლოზ რაჭველი, ნატო მეტონიძე, კოტე ჯანდიერი, გია ყარყარაშვილი, თემურ ნანეიშვილი, ლიზა ბაგრატიონი, მამუკა მიქელაძე, რომან შაქარიშვილი, ლალი ჩიკვაიძე და ნანა შონია.

რა მოტივაციით დაუდგნენ თავდებში? რატომ თვლიან, რომ ყოფილი მაღალჩინოსნები ციხიდან უნდა განთავისუფლდნენ? თვლიან თუ არა, რომ კვიციანიც უნდა გაათავისუფლონ?



**თემურ ნანეიშვილი**, აკადემიკოსი:

**— ბატონო თემურ, რა მოტივაცია გქონდათ, როცა თავდაცვის მაღალჩინოსნებს თავდებში ჩაუდექით, დარწმუნებული ხართ მათ უდანაშაულობაში?**

– ვერ დამარწმუნა პროკურატურის მონაცემებმა, რომ აქ რაიმე დანაშაულზეა საუბარი. მეორე მხრივ, ეს არის ეკონომიკური დანაშაული და არ არის სისხლის სამართლის, როგორიცაა მკვლელობა. ესენი არიან დამსახურებული ადამიანები, მუშაობდნენ საქართველოს ჯარში, ამიტომ, თუ პატრიოტი კაცია და წესიერად მუშაობს, ის კარგი ადამიანი უნდა იყოს. მე პირადად არც ერთს არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ ისინი დიდი ხანია, ამ სტრუქტურაში მუშაობენ. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ეს ვაჟკაცები ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენენ ძიების პროცესზე, ამიტომ რა უჭირს, გარეთ რომ იყვნენ? თუ დამნაშავეები არიან, დაადგენს სასამართლო.

**— უშუალოდ ვინ მოვიდა თქვენთან თავდების თხოვნით?**

– ამხანაგების წრეში ვთქვი ერთგან, მიკვირს, რატომ არიან ეს ადამიანები ციხეში, სიამოვნებით დავუდგები თავდებში-მეთქი. მერე, როგორც ჩანს, მივიდა ვილაცის ყურამდე. მოვიდა ახალგაზრდა კაცი, მითხრა, თქვენ გითქვამთ, მხარს დავუჭერ, თავდებში ჩავუდგები ამ ადამიანებს და თუ მოაწერთ ხელსო. რა თქმა უნდა, მოვაწერე.

**— კვიციანსაც დაუდგა 32 დეპუტატი თავდებში, მაგრამ არ გამოუშვეს. არც ის არის გამქცევი, თავისით ჩაბარდა. თვლით, რომ ციხეში უნდა იჯდეს?**

– სიამოვნებით მოვაწერდი ხელს, ვინმე რომ მოსულიყო. ეს კაცი ერთი დღე არ უნდა იჯდეს ციხეში. თავის მობმაა მთავარი, იცით, რომ „ქართული აკადემიის“ წევრი ვარ და ვერ ვახერხებ, ყველა საქმეს სათავეში ჩავუდგე. მე კვიციანი გმირად მიმაჩნია და სირცხვილია ამ ხელისუფლების, ემზარი რომ ციხეშია.

**ნოდარ ებანოიძე**, პარლამენტის წევრი:

**— ბატონო ნოდარ, რატომ აიღეთ პასუხისმგებლობა თავდაცვის უწყების მაღალჩინოსნების განთავისუფლებაზე?**

– ძირითადი მოტივი ის იყო, რომ მას შემდეგ, რაც ეს ადამიანები დააპატიმრეს, საკმაო ხანი გავიდა. ეს რომ ყოფილიყო იმ პერიოდში, როცა თავდაპირველი ვადა იყო, რომ არ გაზრდილიყო ეს ვადა, შეიძლება თავდებობაზე თავი შემეკავებინა. ვთვლი, რომ საკმაო პერიოდი გავიდა, საქმე ეხება ფინანსურ დარღვევებს. მე თვითონ კვალიფიციური აუდიტორი ვარ და ვიცი, რომ მტკიცებულებები უნდა გქონდეს და თუ ფაქტები შესწავლილია, რა გავლენა უნდა მოახდინოს ადამიანმა ამ ფაქტებზე? შინაგანად მაშფოთებს, როცა ადამიანებს იმეტებენ ხოლმე ციხისთვის. „ტრაქტორების საქმის“ მერე ეს განცდა უფრო გამიმძაფრდა.

**— ემზარ კვიციანზეც იგივე განცდა გქონდათ? თავისით ჩამოვიდა და ჩაბარდა.**

– ზოგადად, ყველა თავდებობაში თავმდები რისკავს. მეც ვრისკავ და არ ვიცი, რას იზამენ ის ადამიანები, რომლებსაც ბრალს სდებენ. რაც შეეხება კვიციანს, მე ეს საქმე ვიცი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე. თავდაცვის შემთხვევაში საქმე შესყიდვებშია, კვიციანის შემთხვევაში სხვა საკითხია.

**— საქმეში ჩახედულები ამბობენ, ეს საქმე ნაციონალურმა ხელისუფლებამ იმიტომ „შეუკერა“, რომ კოდორი ჩაებარებინათო.**

– მე ამ საქმეზე არსობრივად რა არის საჭირო, არ ვიცი. შინაგანად რას ვფიქრობ ამ საქმეზე, ეს სხვაა, მაგრამ მე რომ აფხაზეთის ომის მონაწილე ვარ, ყველა მეომარი ჩემთვის ძვირფასია. მომისმენია ურთიერთსაწინააღმდეგო მოტივებიც სანდო წყაროებისგან. ამიტომ, იმის გამო, რომ ჩემი კომპეტენცია ამ საქმის სიღრმეებს არ წვდება, ვერ ვამბობ ვერაფერს. არავის შემოუთავაზებია, რომ ორი წუთით მაინც დავფიქრებულიყავი, მოვაწერდი თუ არა ხელს. გულწრფელად ვამბობ, რომ იქ, სადაც მოტივები მექნებოდა ნაკლები, ან არგუმენტები არ მეყოფოდა, თავს შევიკავებდი ხელის მოწერისგან და ამ რისკის გაწევისგან. თავდაცვის უწყების თანამშრომლებთან დაკავშირებითაც ვიფიქრე, ავწონ-დავწონე, სანამ ხელს მოვაწერდი. ეს გადაწყვეტილება სპონტანურად არ მიმიღია.

**ჟანა ასანიძე**

568 00 14 14

# „საყდრისის დაცვის კომიტეტის წევრები ნაყოფიასა და ნაციონალებს ფარულად ხვდებოდნენ“

კაზრეთის ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი და კიდევ ერთი დაპირისპირება საყდრისის საბადოს ირგვლივ. კაზრეთის ადგილობრივმა მცხოვრებლებმა პრესკონფერენცია გამართეს და საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს. მოსახლეობა მთლიანად ემიჯნება კომიტეტს. მათი განცხადებით, საყდრისის დაცვის კომიტეტი კობა ნაყოფიას ხვდებოდა, რის შესახებაც მოსახლეობას არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა.

– ვერ გავერკვიეთ, თვითონ ეს საყდრისის კომიტეტი რა ორგანიზაციაა. თავიდან თქვეს, რომ საზოგადოებრივი მოძრაობაა, ირაკლი მამალაძე კი აცხადებს, რომ რჩევებს კობა ნაყოფიასგან იღებდა. მაგრამ დახურულ კარს მიღმა რა რჩევებს აძლევდა, ეს ღმერთმა იცის. ამიტომაც მოსახლეობას ეჭვი გაგვიჩნდა. ვერ დავიჯერებ, რომ ნინო ბურჭულაძემ და დათო გულბანმა ამ შეხვედრის შესახებ არ იცოდნენ. მით უმეტეს, მამალაძე აცხადებს, რომ საყდრისის გადარჩენის ყველა წევრი ამ შეხვედრის შესახებ საქმის კურსში იყო. მოვითხოვთ, რომ ჩვენი, მოსახლეობის, სახელით ნუ საუბრობენ. ამ საბადოს ამუშავება, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობისთვის არის მნიშვნელოვანი.

ვემიჯნებით „სენს“ და საყდრისის კომიტეტს. ეჭვქვეშ ვაყენებ არა მარტო მათ საქმიანობას, არამედ საერთოდ ყველაფერს. თუ მარტო რჩევები იყო, რატომ არ ვიცოდით ამის შესახებ ჩვენ?

დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ ძალიან გულდამძიმებული ლაპარაკობს ტურიზმის განვითარებაზე. არადა, მათ დროს მოეხსნა ძეგლს სტატუსი, რაც ავიწყდებათ. ბატონმა კობა ნაყოფიამ შეიტანა პირველად განაცხადი კულტურის სამინისტროში, რომ საყდრისს კულტურული ძეგლის სტატუსი მოხსნოდა, – აცხადებს საინიციატივო ჯგუფი.

მოსახლეობა ამბობს, რომ თავდაპირველად კომიტეტსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „სენს“ მხარში ედგნენ, მაგრამ გაჩნდა ეჭვი, რომ ჩვენგან ფარულად ხდებოდა შეხვედრები, იმავე კობა ნაყოფიასთან. მათივე თქმით, ნაყოფიას მმართველობისას მენეჯმენტის არც ერთი თანამშრომელი მოსახლეობასთან არ გასულა და არ უსაუბრია. ასევე, აღნიშნა, რომ კაზრეთში სოციალური ფონი უფრო დამძიმდება, თუ სამუშაოები არ გაგრძელდება. ის, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სწორედ საბადოზეა დასაქმებული, არავინ მალავს.

– საბადოს გაჩერება ათასობით ადამიანის უსამსახუროდ დარჩენას ნიშნავს. ამიტომ, ვთხოვთ ხელისუფლებას, გაითვალისწინონ ჩვენი მდგომარეობა და მაქსიმალურად შეუწყონ ხელი კომპანია „არემჯი გოლდს“ მუშაობაში. თუ არ იმუშავა ამ კომპანიამ და გაჩერდა, ჩვენ უარეს დღეში ჩავვარდებით. ეკოლოგიური მდგომარეობაც გაუარესდება და სოციალური ფონიც. ბევრი მუშა დაკარგავს სამსახურს. რა დაგვიშავა იმ ხალხმა. ნუ ლაპარაკობენ ჩვენი, მოსახლეობის სახელით. ვემიჯნებით „სენს“, რომელიც მოსახლეობის სახელით ლაპარაკობს. არ სჯობია, კომპანია გაძლიერდეს, რომ შემდგომში დავსაქმდეთ?

დაპირისპირებაა კომიტეტშიც. კომიტეტის წევრები ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებენ – მათი ერთი ნაწილი ნაყოფიასთან შეხვედრას ადასტურებს, ნაწილი უარყოფს. ამ დროს ყველაზე მეტად მოსახლეობა ზარალდება, სანამ მტყუან-მართალი გაირკვევა, ადამიანები იმ მცირე შემოსავალსაც კარგავენ, რაც აქვთ.

ირაკლი მამალაძე აცხადებს, რომ ნაყოფიას შეხვდა, კონსულტაციების „დეტალებზე“ კი არ საუბრობს:

– კობა ნაყოფია არის მათი მაჟორიტარი დეპუტატი და თუ მათ აქვთ რაიმე პრეტენზიები,



დღესვე შეუძლიათ შეხვდნენ და ყველა პრობლემა გაარკვიონ. რაც შეეხება ჩვენს შეხვედრას, ეს ადამიანი თვითონ დამიკავშირდა და თვითონ მთხოვა შეხვედრა. მაშინ ჩვენ მის წინააღმდეგ გარკვეული პრეტენზიები გამოვთქვით, ამის შემდეგ დარეკა და შევხვდით, სადაც მან აღნიშნა, რომ არ ემხრობოდა ძეგლის დანგრევას. სხვა არაფერი ყოფილა. თუკი ესაა მათი უკმაყოფილების მიზეზი, ჩემთვის გაუგებარია, რატომ? მე არც დამიმალავს, რომ ნაყოფიას შევხვდი. იცით, რაშია საქმე? ადგილობრივი მოსახლეობა ყოველთვის პასიურობდა, იმიტომ, რომ მათი რაღაც ნაწილი მაინც იყო დასაქმებული. მე მესმის მათი, ვიცი, იქ რა სიტუაციაა, ორ კაპიკს ელოდებიან, მესმის მათი წუხილი, მაგრამ, როცა საქმე კულტურულ მემკვიდრეობას ეხება, ასე არ შეიძლება, იმიტომ, რომ ეს მემკვიდრეობა არა მარტო მათი, არამედ ყველა დანარჩენ ადამიანსაც ეკუთვნის...

**დათო გულბანი**, კომიტეტის წევრი:

„შეგიძლიათ ნახოთ, იქ რა ხდება. ამბობენ, ყვავის იქაურობაო, სინამდვილეში კი საშინელი მდგომარეობაა, ჩამორჩენილია, იქ 21-ე საუკუნე არ არის“...

და 21-ე საუკუნეში რომ ათასობით ადამიანს დატოვებ ულუკმაპუროდ, ეს ფაქტი კომიტეტის წევრებს არ ანაღვლებთ. გასარკვევია, ვის ან რას იცავენ ისინი. მოსახლეობას აქვს ეჭვი, რომ წინა ხელისუფლების მითითებით, საწარმოს გაჩერებას გეგმავენ.

ხალხის ინტერესებს ითვალისწინებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი:

– მე კიდევ ერთხელ მივმართავ ყველას, საზოგადოებასა და პოლიტიკოსებს, რომლებსაც ამომრჩევლის, ჩვენი ხალხისა და ქვეყნის წინაშე დიდი პასუხისმგებლობა გაგვაჩნია, სანამ განცხადებებსა და დასკვნებს გავაკეთებთ, საჭიროა იმ ადამიანების ბედი გავითვალისწინოთ. ისეთ ვითარებაში, როგორშიც დღეს ვიმყოფებით, 3 000 ოჯახის უმუშევრად დატოვება ძალიან დიდი უპასუხისმგებლობაა. მე ნამდვილად ვერ ავიღებ პასუხისმგებლობას ამ 3 000 ოჯახის წინაშე, რომ ვუთხრა – კომპანია უნდა გაჩერდეს, დაიხუროს და წინასაახალწლოდ უმუშევრები დარჩნენ. ეს იქნება ამ ოჯახების ღალატი და მე ამას არ და ვერ გავაკეთებ, – ადვილი მისახვედრია, რომ ხელისუფლება მოსახლეობის გვერდით დგას, რაც კიდევ უფრო საეჭვოს ხდის კომიტეტის წევრების აქტიურობას.

**ჩნდება კითხვა — მაშინ ვის პოზიციას იცავს კომიტეტი და რა დანიშნულება აქვს მას საერთოდ, გარდა იმისა, რომ გაურკვეველი დაპირისპირებისა და საიდუმლო „კონსულტაციების“ ცენტრად იქცა.**

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

ალია

# ბოლოს და ბოლოს, რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ლორთქიფანიძე და ბეჟაშვილი?

ეს პარლამენტი კი არა, უკვე საგიჟეთია — ბოლო 2 დღეში 4 ჩხუბი და გაწევ-გამოწევა. პირველი დაპირისპირება 23 დეკემბერს საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მას შემდეგ „აიწია“, რაც ევროსაბჭოს დელეგაციის შემადგენლობაში „ნაციონალებს“ ორიდან ერთი კვოტა ჩამოართვეს და „თავისუფალ დემოკრატებს“ მისცეს. აქ უმცირესობის წევრი, გიორგი კანდელაკი „თავისუფალ დემოკრატს“, ირაკლი ჩიქოვანს დაეტაკა, ისევ ამ ხელისუფლების დავალებებს ასრულებთო. მეორე გაწევ-გამოწევა იმავე დღეს მოხდა ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე, სადაც მაუწყებლობის შესახებ კანონს იხილავდნენ. „რუსთავი 2“-ის შეფმა, ნიკა გვარამიამ უმრავლესობის წევრს, გია ჟორჟოლიანს სულ „სოციალისტი“ ეძახა, დედა აგინა და ისიც მიაყოლა: გამოდი გარეთ, ოღონდ არ გაგლახავო. ეს „არ გაგლახავ“ რა „პონტია“, ვერავინ მიხვდა.

24 დეკემბერს ჩხუბის სეზონი გია ბარამიძემ საკომიტეტო სხდომაზე განაგრძო, მიზეზი ისევ დელეგაციების კვოტების შემცირება იყო და ლევან ბეჟაშვილმა სასესიო დარბაზში დაამთავრა.

„კომიტეტზე“ საგანელიძემ ბარამიძეს მიმართა: „მთელი შენი ცხოვრება კონსტიტუციას არღვევ, ამიტომ შენგან პრეტენზიებს ვერ მივიღებ. არ ვაპირებ, თქვენ გისმინოთ. ისე არ არის, რომ რაც ენაზე მოგადგება, ყველაფერი ილაპარაკო! უზრდელი და თავხედი ხარ შენ“.

საგანელიძეს არც ბარამიძე ჩამორჩა და უყვირა: „მოვრჩები თუ არ მოვრჩები, ეს ჩემი საქმეა და ნუ იჯგიმები, რა! ლაპარაკს მორჩი და ფეხებსაც ვერ მომაჭამ“.

რაც შეეხება ლევან ბეჟაშვილს, მას უმრავლესობის წევრი, დათო ლორთქიფანიძე „დაეჯახა“. ლორთქიფანიძის თქმით, „ნაციონალები“ ცდილობენ, საზოგადოებაში ცრუ ინფორმაციები გაავრცელონ. ამ შემთხვევაში დაპირისპირება გოგა ხაჩიძის გამოსვლას მოჰყვა, რომელიც საცურაო აუზების მდგომარეობაზე ლაპარაკობდა. ეს მაშინ, როცა სპორტული ინფრასტრუქტურა თვითონ გააჩანაგესო.

ბეჟაშვილი კი ამბობს: „გოგა გამოდიოდა იმ დროს, როცა უზრდელურად შეელაპარაკა, ვუთხარი: კარგით, რა მოგივიდათ, დამშვიდდით, ქალბატონია და ნორმალურად ილაპარაკეთ-მეთქი, მეტი არაფერი, არც საკითხის შინაარსი მახსოვს, რაზე იყო გამოსვლა, ამას მოჰყვა უწმაწური სიტყვები და გაუგებრობა, რისთვისაც ჩემს კოლეგებს ბოდიშს ვუხდი“.

მოგვიანებით, უმცირესობის წევრი, მარიამ საჯაია ინციდენტის შესახებ სოციალურ ქსელში წერს: „შარო, საიდან მოდიხარო?! — საჯაიასგანო. სხდომაზე შესვლიდან 5 წუთში დამატყდა თავს უბედურება „კორექტული“ ბატონი ლორთქიფანიძის სახით... ჩხუბის შემდეგ კითხულობდნენ მიზეზს:

— შეხედა მარიამმა და...

— მერე საჯაია თუ უყურებდა, რა აჩხუბებს, შეირგოს, მადლობელი იყოს“.

როგორც ჩანს, ბეჟაშვილმა „ქალბატონში“ საჯაია იგულისხმა.



რა მოხდა სინამდვილეში? როგორ აპირებს უმრავლესობა „ნაციონალების“ დადუმებას? სად მიდის „ნაციონალების“ დაფინანსების კვალი?

„ალიას“ **დათო ლორთქიფანიძე** ესაუბრა:

**— დათო, მარიამ საჯაია წერს, ლორთქიფანიძე არაკორექტულად მომექცა, შევხედე და ეგეც კი ვერ შეირგოო. რა მოხდა, ამიხსენი.**

– ვინც მიცნობს, ყველამ იცის, რომ მე ქალბატონებთან ნამდვილად არ მესწავლება ურთიერთობა. საჯაია ცდილობს, სიცრუე გაავრცელოს და ამით გაამართლოს „ნაცების“ გამოხტომები. არ ვიცი, საჯაიამ როდის შემომხედა და რატომ შემომხედა, რაღაცას ურევს. ვერც იმას ვხვდები, რატომ უნდა მიმეყენებინა შეურაცხყოფა. ხაჩიძე რომ ლაპარაკობდა აუზებზე სიცრუეს და ყველაფერს ჩვენ გვაბრალებდა, მაშინ გავღიზიანდი, აქ კი ბეჟაშვილი გაიქაჩა. ესენი თავხედობენ და ყველაფერი გადადის უზრდელობაში. პროვოკაციებს აწყობენ სპეციალურად. რაღაც სისულელეს იტყვიან, მერე ამ სისულელეზე გასცემ პასუხს და უცებ გადადიან შეურაცხყოფაზე. გასაგებია, რომ პარლამენტარი ხარ და თმენის ვალდებულება გაქვს, მაგრამ ვალდებულება გაქვს თმენამდე, ამათი სიბინძურეების მოთმენა ჩემთვის არავის დაუვალებია.

**— დათო, ერთია, რასაც ვხედავთ ტელეეკრანებზე, მეორეა — რაც არ ჩანს. როგორ იქცევიან კულისებში, პირადი საუბრებისას?**

– ამას მარტო კამერებთან აკეთებენ, მანამდე და შემდეგ რეაქცია საერთოდ არ აქვთ. თუ რამეს ეტყვი, ადგებიან და გადიან. ამით საზოგადოებას ეუბნებიან: ნახეთ, როგორ გვებრძვიან, მუშტი-კრივზეც კი გადმოდიანო.

**— საზოგადოებას იმაზე კი არ ეშლება ნერვები, რომ თქვენ მუშტი-კრივზე გადადიხართ, არამედ იმაზე, ამდენს რომ აბედვინებთ.**

– პირდაპირ გეტყვი: მათ აქვთ დაგროვილი ძალიან დიდი ფინანსები და ახლა ხარჯავენ ქვეყანაში სიტუაციის ასარევად. სადაც კი ხელი მიუწვდებათ, ყველგან ტოვებენ კვალს, ყველგან ცდილობენ სიტუაციის დრამატიზებას – სოციალურ სფეროში, სპორტში, კულტურაში, ეკონომიკაში და ასე შემდეგ. მაგალითად, დღეს ძალიან მნიშვნელოვანია საყდრისის თემა... ბოლო დროს გამოჩნდა საეჭვო პუბლიკაციები, თითქოს ბოლნისის მაჟორიტარი, კობა ნაყოფია, რომელიც არის „ნაცმოძრაობის“ სახე და მოლარე, შეხვდა საყდრისის გადარჩენის კომიტეტის რამდენიმე წევრს, თითქოს ის აფინანსებს და ასე შემდეგ. „ნაციონალებმა“ აქაც კი შექმნეს ქაოსი, ახლა ძნელი გასარკვევია, ვინ რას ლაპარაკობს და ვის რა უნდა. ნაყოფია იმიტომ გავიხსენე, რომ ეს ადამიანი, რომელიც საერთოდ გასულია საპარლამენტო რადარებიდან, პირდაპირ კავშირშია ბოლო დროს დაწყებულ პროვოკაციებთან. ჩვენ ამის შემდეგ ცოტა სხვანაირად უნდა მივხედოთ ამ პრობლემებს, სანამ საზოგადოებას არ ვეტყვით სრულ სიმართლეს, მანამდე გვექნება ასეთი გაუგებრობა და ქაოსი. ლევან ბეჟაშვილი და კობა ნაყოფია ერთი კასტის წარმომადგენლები არიან. ადამიანი, რომელიც 2012 წლამდე კონტროლის პალატის თავმჯდომარე იყო, დღეს ხმას უნდა იღებდეს? მე გარეთ გამყავდა ბეჟაშვილი, მაგრამ მანდატურებმა არ გამოუშვეს, ფიზიკურად არ შევხებივარ. სანამ სახელმწიფო არ გამოიჩენს სიფხიზლეს და არ დაარქმევს ყველაფერს თავის სახელს, მანამდე იქნება პროვოკაციები და გამოწვევები.

ახლა გეტყვი, საიდან აქვთ „ნაციონალებს“ ფულის დიდი ნაკადი: შეიძლება ვიღაცამ თქვას, ნაყოფია ამოიჩემაო... ეს ის ადამიანია, რომელიც 2004 წელს რუსეთიდან ჩამოიყვანა კახა ბენდუქიძემ, დანიშნა „მადნეულის“ გენერალურ დირექტორად, შემდეგ ეს კომპანია „კვარციტთან“ ერთად შეისყიდა 32 მილიონ ლარად. არადა, აქ მილიარდ ლარამდე ინვესტიცია ჰქონდა სახელმწიფოს ჩადებული. ბოლოს ხელში ჩაიგდეს ეროვნული ზარაფხანაც, ინვესტიცია საერთოდ არ განუხორციელებიათ, ეს ქონება კობა ნაყოფიამ ჩადო „საქართველოს ბანკში“, აიღო 200 მილიონი დოლარი, ამ სესხით გააფართოვა ბიზნესი ირანსა და სომხეთში. აი, სქემა, საიდანაც მოედინება ფულის დიდი ნაკადი და რა ფულს ხარჯავენ „ნაციონალები“. თუ ამ საქმეს არ მიხედავს სახელმწიფო, შეიძლება ამ ადამიანებმა ქვეყანაში გამოიწვიონ უმართავი პროცესები. ამ კუთხით ასამუშავებელია სახელისუფლებო ინსტიტუციები.

უნდა ვამხილოთ. ჩემთვის არავის დაუვალებია, გამოდი და კობა ნაყოფია ამხილეო, ვინც რა იცის, უნდა გამოვიდეს და ილაპარაკოს. „მადნეულში“ ფინანსური პოლიცია არის შესული კარგა ხანია, წარმოადგინონ ანგარიში, გაგვაგებინონ, რა ხდება. ასევე, უნდა მივმართოთ პროკურატურას, უამრავი საქმეა შესული. „ნაციონალები“ სწორებას აკეთებენ გაზაფხულზე, აქვთ გეგმა, რომ სიტუაცია ძალიან მაგრად არიონ.

**— რა ინფორმაცია გაქვს, ქუჩაში გამოსვლას აპირებენ?**

– ყველაფრის გაკეთებას აპირებენ, ჰყავთ მოსყიდული უამრავი ადამიანი, ისინი „ნაცმოძრაობის“ სახელით არ ილაპარაკებენ. ესენი ხელიდან არ უშვებენ არც ერთ განაწყენებულ ადამიანს. ჩვენ ამ ყველაფერს უნდა დავუპირისპირდეთ ღიად და მივხედოთ ხალხს. მე არავის ჯიბეებში ფულს არ ვითვლი, მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც სახელმწიფოს ჯიბეებში იქექებოდნენ, უნდა დაისაჯონ და „ნაციონალებსაც“ გადაეკეტებათ ფინანსური წყაროები. მე ამას უკვე ვითხოვ კატეგორიულად, შესაბამისმა სტრუქტურებმა დადონ პასუხები, ხალხს გააგებინონ, რა ხდება ჩვენს თავს.

»»» გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...



## საქართველო-სომხეთის საზღვარზე „მეგობრობის ხიდი“ აშენდება

საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სომხეთის ტრანსპორტის მინისტრთან ერთად ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელიც სადახლო-ბაგრატაშენის სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე ახალი, ერთობლივი ხიდის, სიმბოლური სახელით „მეგობრობის ხიდის“ აშენებას ითვალისწინებს. ხიდის გამშვები პუნქტის გამტარუნარიანობას გაზრდის. სომხეთი 2015 წლის პირველი იანვრიდან საბაჟო კავშირის წევრი გახდება, საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა სომხეთის მთავრობის წარმომადგენლებთან საბაჟო კავშირის ამოქმედების შემდეგ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის პერსპექტივები განიხილეს. პირველი იანვრიდან სომხეთის საზღვარზე ახალი წესები და რეგულაციების ეტაპობრივი შემოღება დაიწყება.

სომხეთი საქართველოს ტურიზმის სტატისტიკაში მეორე ადგილს იკავებს, საქართველოში სომხეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ 2014 წელს 1.1 მილიონი შეადგინა. (ნიუპოსტი)

## აკი არ დავხარჯავთო?



„ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ თავმჯდომარე და ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი რომან გოცირიძე მთავრობის მიერ ბოლო ოთხ დღეში 280 მილიონის დახარჯვას ეხმაურება.

აკი არ დავხარჯავთო? მთავრობამ პირობა დადო, ლარს გავუფრთხილდებითო. რადგან თითქოს დასტაბილურდა, ჰგონიათ, თავი ქუდში აქვთ. ბოლო ოთხ დღეში დაიწყეს ფულის გამოყრა. 280 მილიონი დახარჯეს, მაშინ როცა მანამდე მთელი 20 დღის განმავლობაში მხოლოდ 490 მილიონი ჰქონდათ დახარჯული. თუ ასე გაგრძელდა, თებერვალში ველოდოთ ან ლარის გაუფასურებას, ან ფასების ზრდას.

ცნობისთვის: წინა 11 თვის განმავლობაში, საშუალოდ, თვეში 700 მილიონი ლარი იხარჯებოდა“, – წერს რომან გოცირიძე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქართული და რუსული მხარეები რეგულარულ ფრენებთან დაკავშირებით ვერ შეთანხმდნენ



ქართულმა და რუსულმა მხარეებმა რეგულარულ ფრენებთან დაკავშირებით შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ეკონომიკის სამინისტროს განცხადებით:

„24-25 დეკემბერს ქ. თბილისში გაიმართა ტექნიკური კონსულტაციები საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის საავიაციო ხელისუფლებების შესაბამის წარმომადგენლებს შორის. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს წარმომადგენლები.

კონსულტაციების დროს განხილულ იქნა ორ ქვეყანას შორის რეგულარულ საჰაერო მიმოსვლასთან დაკავშირებული საკითხები, როგორიცაა ფრენის სიხშირეები, დანიშნულების პუნქტების განსაზღვრა და ა.შ. გამომდინარე იქიდან, რომ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული საქართველოს მხარის მიერ დაყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ გაგრძელდეს კონსულტაციები 2015 წლის დასაწყისში.

საბოლოო შეთანხმების მიღწევამდე კი, ქართულ და რუსულ ავიაკომპანიებს უფლება მიეცათ, რომ პარიტეტის საფუძველზე, 2015 წლის 31 იანვრამდე განახორციელონ რეგულარული ფრენები კვირაში 18/18 სიხშირით, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ავიაკომპანიებს უკვე გაყიდული აქვთ შესაბამისი მგზავრობის ბილეთები“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

# რა იცვლება პატიმრებისა და მათი ოჯახებისთვის?

## რა წერია სასჯელაღსრულების რეფორმის პროექტში, რომელიც ღარიბაშვილმა მოიწონა?

**სასჯელაღსრულების სამინისტროში სტრუქტურული რეორგანიზაცია იწყება, რომელიც პრემიერმა ღარიბაშვილმა მოიწონა.**

**კონკრეტულად რა სიახლეებს მოიცავს რეფორმა? რა შეიცვლება სტრუქტურულად პენიტენციურ სისტემაში? რა შეიცვლება სისტემის თანამშრომლებისთვის რეფორმის შემდეგ? რას შეცვლის რეფორმა მსჯავრდადებულებისთვის და მათი ოჯახებისთვის?**



**„ალიას“ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილე, კახა კახიშვილი ესაუბრა:**

– სტრუქტურული რეორგანიზაცია, რეფორმის არსობრივი ნაწილია. რეფორმა უკავშირდება მთლიანად სამინისტროს და მასში შემავალ დეპარტამენტებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა, როგორც თანამშრომლების სოციალური და სასწავლო მდგომარეობის ამაღლების სტრატეგიის დანერგვას, ამავდროულად საპატიმრო დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა კუთხით მდგომარეობის გაუმჯობესებას. მინისტრმა, მთავრობას წარუდგინა კანონპროექტი, რომელიც გულისხმობს 39 კანონში ცვლილების შეტანას. ასევე, დაიწერა ერთი ახალი კანონი, ანუ საერთო ჯამში 40 კანონპროექტია ცალ-ცალკე განსახილველი. მთავრობამ მოიწონა ეს კანონპროექტი და გადაიგზავნა პარლამენტში განსახილველად. დღეს სამინისტროში არის 5 დამოუკიდებელი ბიუჯეტი. სამინისტროს, სად-ს, პრობაციას, სამედიცინო დეპარტამენტსა და სასწავლო ცენტრს, ავტონომიური ბიუჯეტი აქვთ. აი, ასეთ დაბალ დონეზეა მართვის მენეჯმენტი.

2008 წელს, რაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტი იუსტიციის სამინისტროს შეუერთდა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადმოვიდა პროკურატურა, წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი, ერთი და იმავე უწყების ხელმძღვანელი არ შეიძლება ხელმძღვანელობდეს, როგორც დევნას, ისე სასჯელის აღსრულებას. ამის საფუძველზე, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და სამედიცინო დეპარტამენტი გამოეყო იუსტიციის სამინისტროს და ამ სამი დეპარტამენტის ბაზაზე შეიქმნა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო. ეს იყო დეპარტამენტების დე იურე გადაადგილება და ამ გადაადგილებას არ მოჰყოლია არანაირი სტრუქტურული ცვლილება და საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც დაარეგულირებდა დეპარტამენტების მართვა. რეალურად, სამინისტრო იღებს პასუხისმგებლობას ამ დეპარტამენტების მუშაობაზე, თუმცა, ამავდროულად, სამინისტროს ამ დეპარტამენტების მართვის ბერკეტები არ გააჩნია. სად-ი, როგორც საქვეუწყებო დაწესებულება, იქნება ლიკვიდირებული და მის ბაზაზე შეიქმნება სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტი, რომელიც შევა სამინისტროს დაქვემდებარებაში. ანუ მართვის ბერკეტები მთლიანად გადავა მინისტრის ხელში.

დღეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ხელმძღვანელობს 1960 წელს გამოცემული უსაფრთხოების შესახებ რეგულაციებით. ეს, რა თქმა უნდა, არ არის ეფექტური უსაფრთხოების თვალსაზრისით. პრობლემა იყო ისიც, რომ ვიდეომეთვალყურეობის სისტემა არ რეგულირდებოდა ნორმატიული აქტით. ვიდეოკამერები იყო ჩართული და ვინ რას უყურებდა, რომელი სქესის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო ეკრანს მიღმა, რამდენი ხანი უნდა ყოფილიყო ჩანაწერი შენახული, სად უნდა შენახულიყო ჩანაწერი და ა.შ. ეს ყველაფერი ყოველგვარი რეგულაციების გარეშე იყო. ამასაც შეეხო მინისტრი და ახლებურად დარეგულირდა.

შემდეგი არის საკადრო პრობლემა. ადამიანები პირდაპირ ქუჩიდან მოდიოდნენ, ინიშნებოდნენ სამსახურში კონკურსით თუ „ჩაწყობით“, ფაქტობრივად, ქუჩიდან ხვდებოდნენ დახურულ სივრცეში და მათ უწევდათ მუშაობა ადამიანებთან, რომლებიც დაწესებულებებში უამრავი პრობლემით არიან და მათთან მუშაობას სჭირდება სპეციალური ცოდნა. რეფორმის ფარგლებში დაგეგმილია, რომ, თუ ადამიანი წარმატებით გაივლის კონკურსს, ჩაირიცხება როგორც კურსანტი და სანამ შეუდგება უფლებამოსილების შესრულებას, მივლინებული იქნება სასჯელაღსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრში და გაივლის სპეციალურ სწავლებას.

**— ეს ხომ ასე იყო ისედაც ბოლო დროს?**

– თეორიული და პრაქტიკული სწავლების კურსი, სანამ ადამიანი დაწესებულებაში შევიდოდა, არ არსებობდა. სწავლების მერე კურსანტი მიიღებს სპეციალურ სერტიფიკატს, რომლის კატეგორიაც განსაზღვრავს მის ხელფასს. იქნება სამი დონე და ხელფასიც იქნება განსხვავებული.

**— თუ ექნებათ მათ მუშაობის პერიოდში გადამზადების ხელახლა გავლისა და დაწინაურების საშუალება?**

– რა თქმა უნდა, ექნებათ ამის საშუალება, რომ სხვა პოზიცია დაიკავონ. ეს სტიმულს გაუზრდით, რომ იმუშაონ საკუთარ თავზე. კადრების მოზიდვა თავიდან ბოლომდე ახლებურად მოხდება, გამოცხადდება კონკურსები. ვინმეს ახლობელმა რომ დარეკოს, სამსახურში მიიღეო, ეს შეუძლებელი იქნება, რადგან მას მოუწევს მთელი რიგი სწავლებებისა და კონკურსის გავლა. კონკურსი შეეხება სამინისტროს ყველა თანამშრომელს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ რეფორმის დასრულების შემდეგ ვინმე თანამდებობას დაემშვიდობება. მათი ინტერესიც კი იქნება, გაიაროს კონკურსი, რადგან ეს კონკურსი მათ ხელფასზე აისახება პირდაპირ. ასევე, ვინაიდან ეს სისტემა წლების განმავლობაში ასოცირდებოდა ძალადობასთან, რეფორმის ფარგლებში დაგეგმილია თავიდან ბოლომდე, სისტემის რებრენდინგით დაწყებული, თანამშრომლების სპეცფორმებით, დასრულებული სოციალური გარანტიებით, რომ მოვიზიდოთ ახალგაზრდა პროფესიონალი კადრები, რადგან იმ 9-წლიანი მმართველობის მერე მაინცდამაინც დიდი სურვილი, ახალგაზრდა ადამიანებს დაასაქმებდნენ სისტემაში, არ აქვთ. შეიცვლება სისტემის ლოგო, აბრევიატურა, იმიჯი და მიდგომები.

ასევე, ახალი საკითხია მსჯავრდადებულთა გადანაწილების საკითხი. ევროკავშირთან კონსულტაციის გზით შემუშავდა სპეციალური მიდგომა სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის სახით. დღეს დანაშაულები მძიმე, ნაკლებად მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებად ნაწილდება, თუმცა შესაძლოა, ადამიანმა ჩაიდინოს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული და ამავდროულად არ იყოს კრიმინალური სუბკულტურის მატარებელი, ან ჩაიდინოს ნაკლებად მძიმე დანაშაული და იყოს კრიმინალური სუბკულტურის მატარებელი. კრიმინალური სუბკულტურის მატარებელი ადამიანების გავლენა უნდა მოშორდეს იმ მსჯავრდადებულებს, რომლებსაც სურთ რესოციალიზაციის პროექტებში ჩართვა. ამისთვის მოხდება მსჯავრდადებულების სწორად გადანაწილება. სისტემა მსჯავრდადებულებს შესთავაზებს ორ გზას, პირველი იქნება მაღალი რისკის დაწესებულება შესაბამისი შეზღუდვებით და მეორე – ღია და ნახევრად ღია დაწესებულება. ასევე, დაგეგმილია 18-დან 21 წლამდე მსჯავრდადებულებისთვის სპეციალური დაწესებულების აშენება, რომ მათ მიეცეთ ის პერიოდი, როცა ისინი აღწევენ სრულწლოვანებას, იზოლირებულად მოიხადონ სასჯელი, რომ ნაკლები გავლენა მოახდინონ მათზე კრიმინალური სუბკულტურის მქონე მსჯავრდადებულებმა. სოციალური მუშაკები დაწესებულებაში მუშაობდნენ და ევალებოდათ რესოციალიზაციის გატარება პატიმრებთან, თუმცა ისინი იყვნენ ოფიცრები, ამიტომ პატიმრებს მათ მიმართ დიდი ნდობა არ ჰქონდათ, რადგან მათ ურთიერთობა უწევდათ სამხრეების ქვეშ მყოფ ადამიანთან. მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ სოციალური მუშაკები იყვნენ სამოქალაქო პირები, რომ ნაკლები პასუხისმგებლობა ჰქონდეთ სამხრეების გამო სისტემასთან და მეტი აქცენტი გააკეთონ მსჯავრდადებულების რესოციალიზაციაზე. ასევე იგეგმება, რომ სოციალური მუშაკები დანიშნოს მინისტრმა და არა დეპარტამენტმა.

2015 წლიდან დაგეგმილია პრობაციის ფასიან სერვისებზე, ნაწილობრივ უარის თქმა. ეს იყო საშუალება, რომ მსჯავრდადებულთა ოჯახებიდან ამოექაჩათ თანხები – ფასიანი ვიდეოპაემნები და ა.შ. 2015 წელს რეფორმის პარალელურად ცვლილებები გატარდება პრობაციის სამსახურებშიც. ნაწილობრივ გაუქმდება, თუმცა, 2016 წლიდან უნდა გაუქმდეს ფასიანი სერვისები სრულებით.

**— თუ ითვალისწინებს რეფორმა საზოგადოებრივ მონიტორინგს. ამას არასამთავრობოები დიდი ხანია ითხოვენ.**

– კანონში სპეციალური ჩანაწერია, რომელიც ითვალისწინებს მინისტრთან მუდმივმოქმედი საკონსულტაციო საბჭოს შექმნას, სადაც შევლენ არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც იმუშავებენ ყველა იმ საკითხზე, რომელიც სისტემას უკავშირდება. გეგმები არის მასშტაბური, იმედია, პარლამენტი და საზოგადოება მხარს დაუჭერს ამ რეფორმას. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ეს კანონებიც კი არ არის საკმარისი, რომ დავასრულოთ სისტემის ევროპეიზაცია, რადგან ყველაფერი დაკავშირებულია ინფრასტრუქტურულ პროექტებთან, რომლებიც ძალიან ძვირია.

**დიანა ლიპარტელიანი**

571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „მრიცხველები უსირცხვილოდ გვძარცვავენ“



„უკვე მესამე წელია დეკემბერში ასე ხდება, რა ვიღონოთ? რა უნდა ვქნათ“? – კითხულობენ აფორიაქებული თბილისელები და „ყაზტრანსგაზის“ ქვითარზე დაფიქსირებულ მაღალ გადასახადებს აპროტესტებენ. მოქალაქეების განცხადებით, მათ ბუნებრივი აირის მრიცხველები უსირცხვილოდ ძარცვავენ.

სოციალურ ქსელში, ერთ-ერთი ასეთი დაზარალებული პირი წერს:

გაზის გადასახადი მომივიდა 3,5 ჯერ მეტი, ვიდრე წინა ქვითარში 77 ლარი, ახლა 292 ლარი. შევამოწმე მრიცხველი, მწყობრშია, მშვენივრად მუშაობს. ასეთი მაიმუნობა შარშანწინ კეთდებოდა, ნახევარი ქალაქი „გადაგდებულში“ იყო და ვერავინ ვერაფერი ვერ ქნა. შეიტყაპუნეს... ახლა რა ხდება? უფრო თავხედურად „გვპარსავენ?“ რამდენიმე ნაცნობმაც ანალოგიური დამიდასტურა და გაოგნებულია.

ერთმა მითხრა, წინა ქვითარი 47 ლარი იყოო და ახლანდელი 276 ლარი. როდესაც მივედი მიროტაძის ქუჩაზე, სადაც ეს ყველაფერი განვაცხადე და შეკითხვა დავუსვი, როგორ მოვიქცე ამ ყველაფრის შემდეგ, ვის მივმართო-მეთქი. მივიღე ასეთი პასუხი: „ენერგეტიკის მინისტრს მიმართეთ, ვიცე-პრემიერ კალაძესო“, – წერს დაზარალებული მოქალაქე.

დაზარალებული ბევრი აღმოჩნდა. „ნიუპოსტი“ შეეცადა, გაერკვია, როგორ მოხერხდებოდა ამ პრობლემის მოგვარება და კახი კალაძის პრესსამსახურს დაუკავშირდა.

ირაკლი გაფრინდაშვილი: „ენერგეტიკის სამინისტროში წერილობით მოგვმართონ, ენერგეტიკის სამინისტრო იუსტიციის სახლშია და იქ ჩააბარონ წერილი. ამის შემდეგ შესაბამისი ორგანოები განიხილავენ და ყველაზე გვიან ორ კვირაში პასუხი ეცოდინებათ“. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ერგნეთის ღონისძიება ვითარებას გაამწვავებს?




ჟენევის მოლაპარაკებებში ჩართული ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენელი მურატ ჯიოევი ამბობს, რომ 28 დეკემბერს ე.წ. საზღვრისპირა ტერიტორიაზე დაგეგმილი ღონისძიება ვითარებას გაამწვავებს. მისი თქმით, თუ ოფიციალური თბილისი ერგნეთის ბაზრობის განახლებას აპირებს, ის სასიკეთო შედეგს ვერ გამოიღებს.

28 დეკემბერს ერგნეთში ერთდღიანი საქველმოქმედო საახალწლო ღონისძიება იგეგმება, იდეა კი არასამთავრობო ორგანიზაცია „მომავლის ცხინვალს“ ეკუთვნის.

ორგანიზაციაში განმარტავენ, რომ პროექტს ფინანსური დახმარება და მხარდაჭერა ევროკავშირმა და გაერო-ს განვითარების ფონდმა გაუწია და მას ერგნეთის ყოფილ ბაზრობასთან კავშირი საერთოდ არ აქვს.

მათივე ინფორმაციით, ღონისძიებაში მონაწილეობას მხოლოდ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან დევნილები და ადგილობრივები მიიღებენ და ე.წ. საზღვრის მიღმა მყოფი სოფლებიდან თუ ქალაქებიდან სტუმრებს არ ელოდებიან. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# გოგა ხაინდრავა: ,,მინდა ვაიპოლიტიკოსებს შევძახო, — ავოიეეე, თქვენ ყველას შიგ ხომ არა გაქვთ?!..“

## რატომ ჩავიდა მოსკოვში და რისთვის შეხვდა პუტინის გარემოცვის გავლენიან წევრს გოგა ხაინდრავა?



**„იქნება ვინმე გამოვიდეს და თქვას, – ხაინდრავა, ბიჭო, შე მეხოტბე, შენა, შე ივანიშვილის მთავრობის მოყვარულო, ჩვენა ვართ აგერ ის ძალა, რომელიც დაუდგება საქართველოს და ჭაპანს გასწევს. აიღოს ვინმემ თავის თავზე პასუხისმგებლობა, ვინ არის ასეთი?“**

**დღეს, თავდაცვის მინისტრი მინდია ჯანელიძე მისი უწყების სკანდალურ განცხადებასთან დაკავშირებით მედიასთან განმარტებას გააკეთებს, ამის შესახებ „ალიასთან“ საუბარში თავად მინისტრმა, განაცხადა „ამ თემით სპეკულაციები უნდა დასრულდეს, საზოგადოებაში არ უნდა დარჩეს კითხვები!“ ამ ცხელი თემის ირგვლივ, ვნებათაღელვა არ ცხრება, ფაქტობრივად, თავდაცვის უწყების განცხადებამ, „რესპუბლიკური“ პარტია ოპოზიციაში გადააბარგა. მართალია, ისინი იურიდიულად ოპოზიციაში გადაბარგებას ჯერ არ აფორმებენ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, „რესპუბლიკური“ პარტია ალიანსს კრავს ირაკლი ალასანიას „თავისუფალ დემოკრატებთან“...**

**რას ფიქრობს მიმდინარე პროცესებზე მოსკოვიდან დაბრუნებული რეჟისორი გოგა ხაინდრავა? რა მიზნით იმყოფებოდა რუსეთში? სადაა ფოტო გადაღებული, რომელიც სოციალურ ქსელში განსჯის საგანი გახდა, სადაც გოგა ხაინდრავა რუს რეჟისორ სტანისლავ გოვორუხინთან და მსახიობ ვერა გლაგოლევასთან ერთადაა (გოვორუხინი 2005 წლიდან პარტია „ედინნაია როსიას“ წევრია. 2011 წელს კი მან „ედინნაია როსიას“ ყრილობაზე ვლადიმერ პუტინი პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა. გოვორუხინი იყო პუტინის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი და ასევე დუმაში კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე)? მაშ ასე, „ალიას“ კითხვებს გოგა ხაინდრავა პასუხობს:**

**— თქვენს მოსკოვურ ვიზიტს დიდი ხმაური მოჰყვა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამ ვიზიტამდე პუტინმა წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ის მზად არის, შეხვდეს საქართველოს ხელისუფლებას. თქვენი ვიზიტი უკავშირდებოდა თუ არა რაიმე ფორმით პუტინთან საქართველოს ხელისუფლების შეხვედრის წინამოსამზადებელ სამუშაოს?**

– ჩემი ვიზიტი მოსკოვში უკავშირდება კინოს. ვიღებ დოკუმენტურ ფილმს საქართველოზე. მოსკოვის გარდა, ვიზიტს ვგეგმავ თურქეთში, აშშ-ში, ევროპაში და ბუნებრივია რუსეთში, რადგან რუსეთის გარეშე საქართველოს ბედი არ წყდება. ვრცელი ინტერვიუ ჩავწერე პრიმაკოვთან. მოგეხსენებათ, ის წარმოშობით საქართველოდან არის, უკანასკნელი 30-წლეულის განმავლობაში ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურაა რუსულ პოლიტიკაში. რამდენიმე თვის მანძილზე მიმდინარეობდა მასთან მოლაპარაკება, რომ ინტერვიუ მოეცა, ძალიან საინტერესო ინტერვიუ ჩავწერე. 85 წლის შესრულდა, სამწუხაროდ, მას ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აქვს... ინტერვიუში ლაპარაკია საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე, ძალიან საინტერესო პოლიტიკურ ფიგურებთან მექნება ინტერვიუ, ზუსტად დღეს მქონდა აშშ-ში მოლაპარაკებები, გვარს ვერ გეტყვით, მაგრამ ისეთ ფიგურასთან ვწერ ინტერვიუს, რომელიც თავის დროზე მსოფლიოს ბედს განაგებდა, ასევე იქნება თურქეთში, ირანში, ევროპაში. ეს არის ძალიან სერიოზული პროექტი, რაც მთავარია, ქართული...

რაც შეეხება იმ ფოტოს, რომელიც სოციალურ ქსელში გამოჩნდა, ის ადამიანები, ვინც ჩემთან ერთადაა ფოტოზე, მეგობრები არიან, გოვორუხინს 30 წელია ვიცნობ, ვერა გლაგოლევა ჩემი ოჯახის უახლოესი მეგობარია. რაც შეეხება გოვორუხინს, ის ჩემთვის პოლიტიკოსზე მეტია, ის გახლდათ პუტინის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი, ის იყო რეჟისორი და რეჟისორად დარჩა. ერთად ვიყავით ჩვენი ახლობლის დაბადების დღეზე. სხვის მონასტერში როცა შედიხარ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო, მე არ ვწყვეტ, ვის მოიწვევენ იქ სტუმრად, გოვორუხინის გარდა, იქ იყო უამრავი ცნობილი ადამიანი, მათ შორის მიშა ლავროვსკი და ა.შ ყველას გვარს ახლა ვერ ჩამოგითვლით, სია გრძელია...

**— ვლადიმერ პუტინთანაც გეგმავთ ინტერვიუს ჩაწერას?**

– არა, მასთან ნამდვილად არ მექნება ინტერვიუ, არ მგონია, ასეთი შესაძლებლობა მომეცეს. თუმცა გომბეშოების გასაგონად ერთ რამეს გეტყვით, შესაძლებლობა თუ მომეცემა, პუტინთან ინტერვიუს აუცილებლად ჩავწერ. ვფიქრობ, რომ გიჟებისა და მტრების მეტი არავინ ცდილობს ახლა რუსეთთან დაპირისპირებას, რადგან დღეს რუსეთთან დაპირისპირება არის მხოლოდ ჭკუიდან გადასული ადამიანის აზრი. ურთულესი მდგომარეობაა ჩვენს გარშემო, მიდის პრაქტიკულად გამოცხადებული ომი საქართველოს წინააღმდეგ, სადაც მტრის მხარეზე მონაწილეობენ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები და მათ კვერს უკრავს უამრავი ვაიპოლიტიკოსი საქართველოში და რაც მთავარია, პრესა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მიზანმიმართულად იხერხება ის ტოტი, რომელზეც ზის საქართველო, გუშინწინდელ წუმპეში დარჩენილი ჟურნალისტები ყველანაირად ცდილობენ, საქართველო დააბრუნონ იმ ბნელ დროში, როდესაც ჩვენ მონები ვიყავით, მაშინ როცა ზოგს თავისი უკანალი რუსეთისკენ ჰქონდა გაწეული, ზოგს ამერიკისკენ, დღესაც კი პოლიტიკოსების უმრავლესობა ჩოქბჯენში დგას და ზოგის ჩოქბჯენის მისამართია რუსეთი და ზოგის ამერიკა. ფიქრობენ, რომ იქიდან შემოსული „ორგანოები“ შეძლებენ ვითარების მართვას... ასე აღარ იქნება ამ ქვეყანაში! ჩვენ ეს გზა გავიარეთ, დავამთავრეთ, ომში ვერ ჩაგვითრევენ. ახლა მინდა ყველას გასაგონად ვთქვა, შეიძლება სწორ დროს არ იყო ნათქვამი, მაგრამ აბსოლუტურად სწორი განცხადება გააკეთა თავდაცვის სამინისტრომ, იმიტომ, რომ სააკაშვილი და ეს ბოროტმოქმედები მიზანმიმართულად ცდილობენ საქართველოს ცეცხლში ჩაგდებას. მათი მიზანია ჩვენი ჩათრევა ომსა და უბედურებაში. მათ სხვა დანიშნულება და დავალება არასდროს არ ჰქონიათ არც რუსეთიდან და არც ამერიკიდან.

**— უკრაინაში ქართული ლეგიონის ხელმძღვანელი მამუკა მამულაშვილი აცხადებს, რომ ძალიან ბევრი ქართველი მებრძოლი შეუერთდებათ მათ, ფიქრობთ, რომ ეს მოწოდებები ძვირად დაგვიჯდება?**

– ეს იარაღასხმული ვაჟბატონები, ტელევიზორში რომ მოუწოდებენ ქართველ მებრძოლებს, ახალაიას უახლოესი გარემოცვაა, ესენი არიან „ზონდერები“, არც უკრაინისთვის მებრძოლები არიან და არც საქართველოსთვის, როგორ შეიძლება „ზონდერი“ მებრძოლი იყოს?! ბოროტმოქმედები არიან, „ნაიომნიკები“, მამაძაღლები, მინდა მათ ვუთხრა, – მამაძაღლები იყავით საქართველოში, როდესაც ახალაიას ბანდებში ბრძანდებოდით და ისეთივე მამაძაღლები ხართ, ოღონდ ამ მამაძაღლობას ახლა უკრაინაში სჩადიხართ. აქ ვერ გაგივიდათ, ახლა ცდილობთ, ის ქვეყანა გახვიოთ ცეცხლში და მოახერხეთ უკვე, მაგრამ უფრო დიდი უბედურება ისაა, რომ ეს „ზონდერები“ ტყუილად არ იყრიან იქ თავს, ეს „ზონდერები“ საქართველოსთვის მზადდებიან. იმ საწყალ ბიჭს რას ვერჩი, რომელმაც სიცოცხლე გაწირა უკრაინაში, იქ ადამიანები კეთილი ნებითაც იბრძვიან და მათ წინაშე ქედს ვიხრი, თუმცა ვფიქრობ, რომ ასეთი შემართებით აქ უნდა გვებრძოლა 2008 წელს. თუ ასეთი მეომრები გვყავდა, დღე-ნახევარში ომი არ უნდა წაგვეგო! საკუთარი სამშობლოს დაცვა ვერ შევძელით, სხვისი სამ-

**,,ეს იარაღასხმული ვაჟბატონები, ტელევიზორში რომ მოუწოდებენ ქართველ მებრძოლებს, ახალაიას უახლოესი გარემოცვაა, ესენი არიან ,,ზონდერები“, არც უკრაინისთვის მებრძოლები არიან და არც საქართველოსთვის, როგორ შეიძლება ,,ზონდერი“ მებრძოლი იყოს?! ბოროტმოქმედები არიან, ,,ნაიომნიკები“, მამაძაღლები, მინდა მათ ვუთხრა, — მამაძაღლები იყავით საქართველოში, როდესაც ახალაიას ბანდებში ბრძანდებოდით და ისეთივე მამაძაღლები ხართ, ოღონდ ამ მამაძაღლობას ახლა უკრაინაში სჩადიხართ“**

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სტუდენტებმა საყდრისის გადასარჩენად აქცია გამართეს



საყდრისი-ყაჩაღიანის აფეთქებასთან დაკავშირებით თბილისში, პარლამენტის შენობის წინ სტუდენტების აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეებმა პარლამენტში საგამოძიებო ჯგუფის შექმნა და საყდრისის საბადოზე სამუშაოების შეწყვეტა მოითხოვეს.

„პარლამენტი ვალდებულია, კანონის უზენაესობა დაიცვას. კერძო კომპანიის ინტერესებისთვის კულტურული მემკვიდრეობა არ უნდა ნადგურდებოდეს“, – განაცხადეს აქციის მონაწილეებმა.

აქციის მონაწილეებმა მოუწოდეს პრემიერ-მინისტრს, რომ ჩავიდეს და ადგილზე გაეცნოს სიტუაციას. საყდრისის საბადოზე კომპანია „არ-ემ-ჯი გოლდმა“ მოპოვებითი სამუშაოები განაახლა, რასაც არასამთავრობო ორგანიზაციები ეწინააღმდეგებიან. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შს მინისტრის ყოფილი მოადგილის დედის კომპანიამ ტენდერებში 23.8 მლნ ლარი მიიღო



„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადებით, ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2013-2014 წლებში სამშენებლო სამუშაოების შესრულებისთვის გამოცხადებულ ტენდერებში მაღალი თანამდებობის პირების კუთვნილი კომპანიები იმარჯვებენ.

„საგზაო-სამშენებლო სარემონტო კომპანია „სერპანტინი“ მედიაში გავრცელებული ცნობების თანახმად, რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირს უკავშირდება. კომპანიამ ორი წლის მანძილზე 6 ტენდერში გაიმარჯვა და 23.8 მლნ ლარი შემოსავალი მიიღო. წილების უმეტესობას (51%) კომპანიაში თამარ ჯანყარაშვილი ფლობს, რომელიც, მედიაში გავრცელებული ცნობების თანახმად, შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის გიორგი ზედელაშვილის დედაა. 2011-2012 წლებში კომპანიამ უფრო მეტ, 8 ტენდერში გაიმარჯვა, თუმცა მათი ჯამური ღირებულება მხოლოდ 1.7 მლნ. ლარი იყო“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

*მეცხრე გვერდიდან*

შობლო როგორ უნდა დავიცვათ. სხვათა შორის, ძალიან ნიშანდობლივია ცხონებულ ალექსანდრე გრიგოლაშვილს მეტსახელი, მას „ჩუჟოი" ერქვა, ღმერთმა აცხონოს მისი სული, ქედს ვიხრი მისი ხსოვნის წინაშე, მაგრამ ადამიანი, რომელიც შენ გვერდით შენი ქვეყნის დასაცავად იბრძვის, მას „ჩუჟოი" არ უნდა დაუძახო...

**— „ნაციონალურ" მოძრაობას, ხელისუფლების კრიტიკაში „რესპუბლიკელებმა" თავზე გადაუფრინეს, სიტყვის ჩასაგდები ადგილიც არ დაუტოვეს, რა თამაშს თამაშობენ, ხომ არ იცით?**

– ესენი არიან მამაძაღლები თავისი პოზიცია-ოპოზიციიანად. ვინც ეს დღეები „ურტყამდა" თავდაცვის მინისტრს, ყველანი არიან პოლიტიკური სპეკულანტები, პოლიტიკური „პროსტიტუტკები", სხვა მეტი ამას არავინ გააკეთებდა... დღეს ყველანაირად ცდილობენ საქართველოს ომში გახვევას, პირველად ხდება ის, რომ 20 წლის განმავლობაში ჩვენთან არ გიზგიზებს ეს ცეცხლი, მაგრამ სააკაშვილი და მთელი „ნაციონალური" დაჯგუფება უკრაინაში გადავიდა, იმიტომ, რომ იქიდან დაატრიალონ უბედურება და გახვიონ ცეცხლის ალში. აქ კი ეს ვაიპოლიტიკოსები, ფარჩაკები, პოლიტიკური ფუნიდან ბიძინა ივანიშვილის ამოყვანილები, საქართველოს ებრძვიან. იმასაც ვერ ბედავენ, პირდაპირ თქვან, ბიძინა ივანიშვილს ვებრძვითო... დაბალი ღობე ნახეს ღარიბაშვილი და უტევენ. სინამდვილეში ბიძინას უპირისპირდებიან, მაგის უკანალი უნდა გქონდეს გამოხვიდე და თქვა, ვის ებრძვი, მაგრამ ვისთან მებრძოლები არიან, ეგ პოლიტიკური ფარჩაკები, ველარ „გაგულავდებიან" ამ ქვეყანაში, სხვა ქვეყანაში ვცხოვრობთ, მე უკრაინა მეცოდება, თორემ ისე უქნიათ, მთელი „ნაცმოძრაობა" წაუყვანიათ და მთავრობაში დაუნიშნავთ. რაც აქ მიიღეს, იქ უარესს მიიღებენ...

**— ირაკლი ალასანიასა და მისი პარტიისგან გასაკვირი არ არის ღარიბაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან ოპოზიციაში არიან, მაგრამ საოცარია „რესპუბლიკელების" მიზანმიმართული აგრესიული კამპანია ღარიბაშვილის წინააღმდეგ...**

– „რესპუბლიკელებიც" ოპოზიციაში წავიდნენ, ის, რასაც დათო ბერძენიშვილი აკეთებს, მაგას ოპოზიცია ჰქვია. როცა იძახი,



მთავრობას ტყავს გავაძრობო, კი მაგრამ, ეს შენი მთავრობა არ არის, შე კაიდედმამიშვილო?!. მაგ კოალიციის წევრი არ ხარ?! მაგათაც „თავისუფალი დემოკრატებივით" გამოსდით, ოპოზიციაში კი გადავედით, მაგრამ პარლამენტში თანამდებობებს ვერ დავთმობთო, ასე არიან „რესპუბლიკელებიც", კოალიციაში კი არიან, მაგრამ ოპოზიციონერობენ, თან ამერიკისკენ აქვთ უკანალი მიტრიალებული და იქიდან შესდით ენერგეტიკა, მაგრამ საქართველოში აღარც ამერიკული და აღარც რუსული ენერგეტიკა აღარ იქნება, თუ ვინმესთვის ქართული ენერგეტიკა იგივეა, რაც რუსული, ეს მისი პრობლემაა.

**— და მაინც, როგორ ფიქრობთ, რატომ გაერთიანდნენ „რესპუბლიკელები", „ნაციონალები" და „თავისუფალი დემოკრატები" ღარიბაშვილის წინააღმდეგ? მთავრობის გადაყენება უნდათ?**

– მეც ეგ მაინტერესებს, რა უნდათ?! მაგათი ვერაფერი გავიგე, ახლა ვეკითხები მათ, რატომ ხერხავთ იმ ტოტს, რომელზეც სხედხართ? წარმოიდგინეთ, რამხელა დარტყმები ხდება შიგნიდან თუ გარედან, ვისაც არ ეზარება და ვისაც მთელი ცხოვრება ხმა არ ამოუღია, ვისაც ხელი არ გაუშვია სააკაშვილის ერთ ორგანოზე, ყველა მაგათ აგინებს და ლანძღავს. ამის მიუხედავად, ქვეყანა რთულად, მაგრამ მაინც წინ მიდის. თუ ევროპისთვის დემოკრატიაა ის, რომ ბოროტმოქმედ, ძებნილ სააკაშვილს, მოქმედ პრეზიდენტზე წინ დასვამ ევროპარლამენტის დარბაზში, გავარტყი მე ეგეთ დემოკრატიას! ვისაც ჰგონია, რომ ბრიუსელსა და ვენაში, ვაშინგტონში ან მოსკოვში გადაწყდება საქართველოს ბედი, მინდა ვუთხრა, აქ მოუწევთ ხალიჩაზე გამოსვლა, ქართველი ხალხი იქნება გადამწყვეტი და აქ ვიჭიდავებთ, ამ მოედანზე!

**— არის ვერსია, რომ „თავისუფალი დემოკრატები", „ნაციონალები" და „რესპუბლიკელები" გაერთიანებული ძალებით შეუტევენ მომავალშიც ხელისუფლებას და ეცდებიან ძალაუფლების ხელში აღებას.**

– უკვე უტევენ, „დემოკრატები" და „ნაციონალები" რეზოლუციებით პარლამენტში ერთად გამოდიან. პირდაპირ ჩანს, რა დავალებაც მიიღეს იმ ბნელი ძალებიდან და მაკკეინისგან, მათ დავალებას ასრულებენ იმის იმედით, რომ ხელისუფლებაში მოვლენ. ჰგონიათ, მაკკეინი ვაშინგტონიდან მოიყვანს ხელისუფლებაში. ვერ მოიყვანს, ვერა! დასავლეთის ბნელ ძალებს არ მოსწონთ საქართველოს ხელისუფლება, რომელიც არც ვაშინგტონის დაკრულზე ცეკვავს და არც მოსკოვის. ჩვენი ხელისუფლება მათთან თანამშრომლობს და მეტი რა უნდა გააკეთოს. ყველაზე დიდი ჯარი მთელ მსოფლიოში საომრად ჩვენ გვყავს გაგზავნილი, ყველაფერზე თანახმა ვართ და მეტი რა გავაკეთოთ?.. მაგრამ არა, მაგათ მონები სჭირდებათ, ისეთი, თითს რომ დააჭერ, გამოხტება სააკაშვილი და ყეფას დაიწყებს, როცა მოუნდებათ, თითის დაჭერით ლომაია ამოხტება და დაიწყებს ყეფას... ღარიბაშვილი ასე არ იქცევა და მით უმეტეს ივანიშვილი, იმიტომაც მიდის ეს შეტევა. ივანიშვილს უტევენ, იმიტომ, რომ ყველას კარგად ესმის, დღეს მუხა არის ივანიშვილი, ის უნდა მოიჭრას და ამაზეა ყველა დაგეშილი.

**— როგორ ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლა გარდაუვალია?**

– მაგას ივანიშვილის ნაცვლად მე ვერ გეტყვით. მე ვფიქრობ, ქართველების ყველაზე დიდი პრობლემა არის უმადურობა, დღეს ქართველ საზოგადოებას და განსაკუთრებით ქართულ პრესას, დიდი უმადურობა დაემართა. ეს არის ღმერთის სასჯელი, თორემ ივანიშვილმა თავისი გზა იცის, ჩვენ ვიკითხოთ. სულაც არ მადარდებს, ვინ რას დაწერს ჩემზე,

**„რატომ გაერთიანდნენ „რესპუბლიკელები", „ნაციონალები" და „თავისუფალი დემოკრატები" ღარიბაშვილის წინააღმდეგ? მთავრობის გადაყენება უნდათ?"**

მაგრამ ერთი რამ მინდა ვიკითხო, ხვალ დილას რომ გავიღვიძებთ და აღმოჩნდეს, რომ ბიძინა ივანიშვილი საქართველოში აღარ არის, როგორ იქნება საქმე? რას ფიქრობს ამაზე პრესა, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკოსები? იქნება ვინმე გამოვიდეს და თქვას, – ხაინდრავა, ბიჭო, შე მეხოტბე, შენა, შე ივანიშვილის მთავრობის მოყვარულო, ჩვენა ვართ აგერ ის ძალა, რომელიც დაუდგება საქართველოს და ჭაპანს გასწევს. აიღოს ვინმემ თავის თავზე პასუხისმგებლობა, ვინ არის ასეთი?

**— თუკი ივანიშვილი დატოვებს საქართველოს, დიდი ალბათობით ჩვენ გავიღვიძებთ მოდერნიზებული სააკაშვილის საქართველოში...**

– დედისმაგისამ, მიშას საქართველო დამთავრდა!.. მას მერე, რაც ბიძინამ გააკეთა, მიშას აწი ჩვენც ვეყოფით, მაგრამ ბნელი ძალების მეტი რა არის, გინდა ჩრდილოეთით, გინდა დასავლეთით, ის ძალები არსად არ წასულან, იმათ არ უნდათ თავისუფლად მოაზროვნე საქართველო, მათ დამონებული, „დაჩმორებული" საქართველო უნდათ!.. მეძავი საქართველო, რომელიც ფულზე იქითაც იძლევა და აქეთაც. ახლა აღარ არის ასეთი საქართველო და ერთ ადგილზე არიან გახეთქილები...

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლება უნდა შეხვდეს ვლადიმერ პუტინს?**

– არ ვიცი, დღეს ვითარება რთულია, ასეთი დაძაბული ვითარება მსოფლიოში არც მახსოვს, როდის იყო. პრაქტიკულად, სამხედრო დაპირისპირება მიმდინარეობს უკრაინაში. ცენტრალურ ევროპაში ომი მიდის და არც ერთი მხარე აღარ მალავს, აღმოსავლეთში ომია, ცეცხლი უკიდია ნახევარ მსოფლიოს. თქვენ გესმით, რა ხდება მსოფლიოში, სად ვყოფთ თავს?.. რუსეთის ხელისუფლებამ ნატოსთან მიმართებაში კატეგორიული განცხადება გააკეთა, მინდა ვაი-პოლიტიკოსებს შევძახო, – ავოიეეე, თქვენ ყველას შიგ ხომ არა გაქვთ?!. რა გინდათ ამ საქართველოსგან, რას გადაეკიდეთ?.. ვიყოთ ჩვენთვის წყნარად, თუ რამის მიცემა შეიძლებოდა, „ნაციონალებმა" რუსეთს ყველაფერი მისცეს, კოდორი, ცხინვალი, ახლა იქიდან ცდილობენ, როგორმე თბილისიც წაგვართვან. აი, „ნაცების" ამ რიტორიკას არიან აყოლილები ექსპერტები, ჟურნალისტები, არასამთავრობოები. დღეს ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ნომერ პირველი მტერი ამ ქვეყნის არის ბიძინა ივანიშვილი და სააკაშვილი არის საქართველოს ღირსება. ეს გაქცეული კურდღელი სააკაშვილი, ის ვითომმეომრები სად იყვნენ 2008 წლის აგვისტოში?.. გამაგებინეთ, რატომ არ დავიცავით ჩვენი სამშობლო? აგერ უკვე მერამდენე თვეა, უკრაინა ომობს და ჩვენ დღე-ნახევარში დავნებდით... უკრაინას იანუკოვიჩის ხელში, ფაქტობრივად, ჯარი არ ჰყავდა და იქ რუსულ რეგულარულ ჯარს ებრძვიან მოხალისეები. გამაგებინეთ, ხალხო, აქ რატომ არ ვიომეთ, უკრაინიდან თითს რომ გვიქნევენ ასეთი მაგარი „მეომრები", აქ რომ ჩამოვლენ, იმ თითებს დავამტვრევთ! შეიძლება „ზონდერი" მებრძოლი იყოს?!. გარდა ამისა, ჩვენ ცოტა გვაქვს დასაცავი? ყოველდღე ცხინვალში კაცს იტაცებენ, გორთან დგანან რუსი სამხედროები. მართლაც ფურთხის ღირსია ეს საქართველო, სამარცხვინოა, რაც ხდება ამ ქვეყანაში. ფარჩაკების ხელშია ეს ქვეყანა.

**— ამ კვირაში ტელეკომპანია „მაესტრო", ფაქტობრივად, დაიშალა და წამყვანებმა პრორუსულ კურსში დასდეს ბრალი „მაესტროს" მფლობელს კოტე გოგელიას...**

– ნინო ჟიჟილაშვილი ხომ ვერ გიპასუხებთ, გოგელია აქამდე ფულს საიდან აძლევდა?! გუშინ ხელფასს საიდან ილებდა?.. ჩინეთში ცხოვრობდა ის გოგელია?!. ახლა გაახსენდა 25 ჟურნალისტს, რომ თურმე რუსული ტელევიზია კეთდება?.. აბა, აქამდე ჩინური იყო ეს ტელევიზია?.. როგორი რუსულიც მანამდე იყო, ახლაც ზუსტად იგივეა. „თავისუფალი დემოკრატებისა" არ იყოს, წამოვიდნენ და მერე აღმოაჩინეს, თურმე კურსი შეიცვალა. სანამ იქ იყვნენ, ეგ არ ჩანდა?!. ვერც „რესპუბლიკელები" ხედავდნენ ვერაფერს, ვერც „დემოკრატები" და ახლა აეხილათ თვალი... ყველა მიიღებს თავის საზღაურს, დარჩებიან თავის სამპროცენტიან არეალში, სადაც იყვნენ, ხოლო „ნაცები" მიიღებენ იმას, რაც ეკუთვნით, ოღონდ უფრო მწარედ. კოაბიტაციის ხალხი კი მაგათ უკან დაჰყვება. აქამდე არც მიფიქრია, რადგან ამის საჭიროება არ იყო, მაგრამ ახლა ვფიქრობ, ნეტავ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს, მაგათ ვაჩვენებ, რა შედეგს მიიღებენ. ესენი გაჰყვებიან „ნაციონალურ" ნაგავს, „თავისუფალი „დემოკრატები", „რესპუბლიკელები" და ისინი, ვინც კოაბიტაციაში იყვნენ „ნაცებთან". აქვე მინდა იმ არასამთავრობოებს მივმართო, დღეს რომ ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. ერთ ღამეში „ნაციონალურმა" რეჟიმმა დაიჭირა 200 ქალი, ეს ფაქტი ისე გაატარეს, თითქოს არც არაფერი მომხდარა, კაციშვილს ხმა არ ამოუღია. სად იყო მაშინ ეს სამი არასამთავრობო „ლებედ, რაკ და შუკა" ენა რომ აქვთ გადმოგდებული?! ყველა „დაჩმორებული" იყავით, ახლა კი „გაგულავდით!" ვფიქრობ, რომ ასეთი დემოკრატიული ვითარება საქართველოში, როგორიც ახლაა, არასოდეს ყოფილა, ჩვენს სამეზობლოში მსგავსი დემოკრატიის ნიშნებიც არ არის და მაგას ვერ პატიობენ, იმიტომ, რომ მონობას არიან მიჩვეული. ივანიშვილმა აჩვენა, აი, როგორია დემოკრატიული სამყარო, რაც გინდა თქვი, რაც გინდა გააკეთე, უკანონოდ არავის ჩაგრავენ და არავის იჭერენ, მაგრამ ამათ ხომ ზღვარი არაფერში აქვთ, ეს არის უტრაკოების ქვეყანა და ამათმა ზღვარგადასულობამ შექმნა სრული ბაქანალია.

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

**„მინდა ვაიპოლიტიკოსებს შევძახო, — ავოიეეე, თქვენ ყველას შიგ ხომ არა გაქვთ?!.. რა გინდათ ამ საქართველოსგან, რას გადაეკიდეთ?.. ვიყოთ ჩვენთვის წყნარად, თუ რამის მიცემა შეიძლებოდა, „ნაციონალებმა" რუსეთს ყველაფერი მისცეს, კოდორი, ცხინვალი, ახლა იქიდან ცდილობენ, როგორმე თბილისიც წაგვართვან"**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

## პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ცესკოს წევრობის კანდიდატურები განიხილეს



საკონკურსო კომისიამ თითო ვაკანტურ ადგილზე სამი პირი შეარჩია და, შესაბამისად, პრეზიდენტს 9 კანდიდატს წარუდგენს, რომელთაგან ექვსს გიორგი მარგველაშვილი საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად 7 დღის ვადაში გადაუგზავნის.

ღია კონკურსი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის სამ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატთა შესარჩევად 8 დეკემბერს გამოცხადდა. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში არიან საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი დავით პატარაია, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი გიორგი კვერენჩხილაძე და საპარლამენტო მდივნის მოადგილე ბესარიონ აბაშიძე, ასევე პრეზიდენტის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი თამარ ბენაშვილი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები: კახა კოჟორიძე, ნინო ლომჯარია, ეკა გიგაური და ხათუნა ლაგაზიძე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გრიგოლაშვილის დაკრძალვას ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ



ქუთაისში უკრაინაში დაღუპული ქართველი მებრძოლის ალექსანდრე გრიგოლაშვილის დაკრძალვას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები დაესწრნენ.

დაკრძალვის ცერემონიას თავდაცვის მინისტრის მოადგილე კახა ოქროჯანაშვილი და თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი კახა ჩიქოვანი დაესწრნენ, ხოლო საკანონმდებლო ორგანოდან „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ თითქმის სრული შემადგენლობა.

„საქართველოსთვის ბრძოლა არ არის მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, ალექსანდრე იყო გმირი, არ აქვს მნიშვნელობა, სად იბრძოლებდა ის – უკრაინაში თუ საქართველოში. მან საქართველოს ინტერესებს შესწირა თავი“, – განაცხადა „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა.

ზაქარია ქუცნაშვილის თქმით: „ჩვენი ადამიანები პატრიოტები არიან და ამიტომაც მათი სურვილი, საქართველოს მტრებს ებრძოლონ ყველგან, ადამიანურად გასაგებია, ეს არის ძალიან მძიმე დღე ჩემთვის პირადად, რადგან ეს არის კიდევ ერთი ახალგაზრდა ქართველის დაკარგვის დღე“, – აღნიშნა ქუცნაშვილმა.

გრიგოლაშვილი, ოჯახის სურვილით, საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალეს. 32 წლის ჯარისკაცი, 19 დეკემბერს ლუგანსკის ოლქის ქალაქ სჩასტიესთან დაიღუპა. (ნიუპოსტი)

## რას საყვედურობს სოსო მანჯავიძე დავით უსუფაშვილს?

**თბილისის საკრებულოს წევრი სოსო მანჯავიძე ქვეყანაში სახელფასო დანამატებთან და პრემიებთან დაკავშირებით შექმნილი აჟიოტაჟის დარეგულირების გზას „სახელმწიფო მოხელეთა რანგირების“ შესახებ კანონის შექმნაში ხედავს. „ბოლო რამდენიმე თვეა, დიდი ბაქქანალიაა ატეხილი სახელმწიფო მოხელეთა ანაზღაურების თაობაზე — ყბადაღებულ პრემიებზე, დანამატებზე და ა.შ. ეს ხდება იმის გამო, რომ საქართველოში არ არსებობს „სახელმწიფო მოხელეთა რანგირების შესახებ“ კანონი. ზოგადად, რაც ამ საკითხის ირგვლივ ტრიალებს, ის ხმაური და ხალხის უკმაყოფილება, თავიდან ბოლომდე პარლამენტის თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხია. ალბათ, ვიღაცის ინტერესია, რომ არასდროს დასრულდეს ეს თემა ქვეყანაში და მუდმივად არსებობდეს საზოგადოებრივი უკმაყოფილება ამ თემის ირგვლივ“.**

**რა გაუგებრობა დატოვა სააკაშვილმა გადადგომამდე? რა იდეები არ არსებობს პარლამენტში? რას აპირებს „რანგირების კანონის“ მისაღებად?**



**„ალიას“ სოსო მანჯავიძე ესაუბრა:**

**— რატომ არ არეგულირებს ხელისუფლება ამ საკითხს კანონით, ვის აწყობს ეს გაუგებრობა?**

– ერთის მხრივ, არის მძიმე სოციალური ფონი, ხალხი უკმაყოფილოა დანაპირების შეუსრულებლობის გამო და ძნელი სათქმელია, რატომ არ ხდება ამ საკითხის მიხედვა, ვინ უნდა მიხედოს ამ საკითხს? ეს არის საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. ვის მიჰყავს იქ საკანონმდებლო ცხოვრება? დავით უსუფაშვილს. ვინ პოზიციონერობს პარლამენტში, ვინაა ყველაზე კვალიფიციური პარტია? „რესპუბლიკური პარტია“. ამ საკითხს უნდა ხედავდეს პარლამენტის თავმჯდომარე და „რესპუბლიკური პარტია“. ბოლო დროს, განსაკუთრებული გაოცება გამოიწვია ჩემში „რესპუბლიკელების“ გამოსვლამ ხელფასებთან და დანამატებთან დაკავშირებით, აღშფოთებას გამოთქვამდნენ, დედა, ეს რა ხდებაო... კი მაგრამ ხელისუფლებაში თვითონ არიან და რატომ არაფერი არ გააკეთეს? მათ მიერ გაუკეთებელ საქმეში, თავადვე ცდილობენ, დაიწერონ პოლიტიკური ქულები. კოალიციიდან გასვლა აქვთ გადაწყვეტილი და ცდილობენ კორუფციასთან მებრძოლის იმიჯი დაიმკვიდრონ. ეს საზოგადოებრივი უკმაყოფილება თავისუფლად შეიძლება დასრულდეს, თუმცა, უნდა არსებობდეს ამის პოლიტიკური ნება.

**— და რატომ არ არსებობს საპარლამენტო უმრავლესობაში ეს პოლიტიკური ნება?**

– გაურკვევლობებია. სააკაშვილმა დატოვა დიდი გაუგებრობა – სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი, რასაც თავი ვერ მოაბა და ვერ გადახედა უმრავლესობამ, ასევე ვერ ტარდება ბევრი სიახლე ახლაც, რადგან არ არსებობს შესაბამისი იდეები საპარლამენტო უმრავლესობაში. ამ კანონის არსებობა, სახელმწიფოებრივი აზროვნების არარსებობის დამადასტურებელია. არაფერი არ არის გამოსაგონებელი, არსებობენ ქვეყნები, რომლებსაც ჩვენნაირი მოწყობა აქვთ, შეგვიძლია კარკასი მათგან გადმოვიღოთ და ამ კანონის შექმნას ერთი თვეც არ დასჭირდებოდა. ყველამ უნდა იცოდეს, რომ არსებობს მოხელეთა რანგები, ესა თუ ის მოხელე, შეიძლება დაინიშნოს ამა თუ იმ თანამდებობაზე, ადამიანების თანამდებობებზე დანიშვნა არ უნდა ხდებოდეს ვინმეს ხუშტურებით, ბიძაშვილ-მამიდაშვილობით და სხვადასხვა სულელური ტესტების მიხედვით.

**— უკვე გააჟღერეთ, რას აპირებთ?**

– მივმართავ პარლამენტს სარეკომენდაციო წერილით. თუ არ გაითვალისწინებენ, დავიწყებ საკანონმდებლო წინადადებაზე მუშაობას და შევიტან. ამ საკითხს მივყვები ბოლომდე.

**— როგორ ფიქრობთ, პარლამენტმა თქვენი საკანონმდებლო ინიციატივა რომ მიიღოს განსახილველად, საპარლამენტო უმრავლესობა დაუჭერს მხარს?**

– იმედი მაქვს. მათზეა დამოკიდებული ყველაფერი, მე ვერ ვაიძულებ ვერაფერს, არ მაქვს სამაგისო ბერკეტი. ისე, ერთი რამეცაა, ეს მათი გადასაწყვეტია, მაგრამ, თუ არ გადაწყვეტენ, ხალხი გააკეთებს ისე, რომ ველარაფრის გადაწყვეტის უფლება არ ჰქონდეთ მათ სამომავლოდ.

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

## მინისტრ სანიკიძეს სასამართლოზე ზეწოლაში ადანაშაულებენ

**რატომ გადამისამართდა სასამართლოში შეტანილი დირექტორების სარჩელები ერთი სასამართლოდან მეორეში? რომელი მოსამართლე დამორჩილდა განათლების მინისტრის მითითებას?**

**„ალიას“ ესაუბრება „მასწავლებელთა საკოორდინაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი დავით ფერაძე:**

– მას შემდეგ რაც დასრულდა დირექტორების კონკურსი და საქმე მიდგა სკოლებში მათ გადანაწილებაზე, თამარ სანიკიძემ ზოგიერთი დირექტორი სამეურვეო საბჭოს აარჩევინა, როგორც არსებობს საზოგადო წესი, ზოგიერთ შემთხვევაში კი გამოიყენა დისკრეციის წესი, ანუ ისე დანიშნა კანდიდატები, რომ მათ კანონით განსაზღვრული სტრატეგიული ხედვა კონკრეტული სკოლის განვითარებისა, არ ჰქონდათ. ამ შემთხვევაში „დაჩაგრულმა“ დირექტორებმა სასამართლოს მიმართეს, რადგანაც მათ სამინისტროს არასწორად მიღებული გადაწყვეტილება გააპროტესტეს და მოითხოვეს, რომ ბათილად გამოცხადდეს სამინისტროს აქტი, როგორც დისკრეციით დანიშვნაზე, ისე კანდიდატად წარუდგენლობაზე და ეს სარჩელი შეიტანეს ადმინისტრაციულში. რამდენიმე საქმეზე დაიწყო უკვე სამართალწარმოება, პირველი მოსმენებიც იყო, მაგრამ ეს საქმეები გადაიტანეს სამოქალაქო წარმოებაში. თუ ეს საჩივარი ეხებოდა სამოქალაქო საქმის წარმოებას, მაშინ თავიდანვე არ უნდა მიეღო სასამართლოს ადმინისტრაციულ წარმოებაში, ასე არაა? ამან გააჩინა სერიოზული ეჭვი და გამოჟონა კიდეც ინფორმაციამ, რომ ადმინისტრაციულ მოსამართლეზე იყო ზეწოლა, რომ ეს საქმეები სამოქალაქოში გადასულიყო და ეს ზეწოლა წამოსული იყო სანიკიძის უწყების მხრიდანო.



მიზეზი ისაა, რომ, როცა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა განიხილავს საქმეს, ამ შემთხვევაში სამინისტროს გადაწყვეტილებას, იგულისხმება დისკრეციის გამოყენება, ადმინისტრაციული ბათილად გამოაცხადებს. ამ დროს აქ ძალიან ბევრი დარღვევა იკვეთებოდა, მაგალითად, ის, რომ ეს დირექტორები უკვე სერტიფიცირებულები იყვნენ, ის, რომ მათ კონკურსში არ უნდა მიეღო მონაწილეობა აუდიტის წარმომადგენელს და ერთი ასეთი საკითხიც კი საკმარისი იყო, რომ საქმე ბათილად გამოცხადებულიყო. მაგრამ სამოქალაქო საქმის წარმოებაში ასეთი რამ არ ხდება. ეს იქ ჩვეულებრივ გარემოებად ითვლება და არა – არგუმენტად. როგორც იურისტებმა გვითხრეს, ამ შემთხვევაში მოსამართლე სამოქალაქოში უსმენს ორივე მხარეს, იქაა შეჯიბრებითობის პრინციპი და იმ პროცედურულ გადაცდომას, რასაც ადმინისტრაციული დარღვევად ჩათვლის, სამოქალაქო ამას დარღვევად ნამდვილად არ ჩათვლის და, რომც გამართლდნენ ეს დირექტორები, მერე რა? ამ შემთხვევაშიც სამოქალაქოს მოსამართლე ვერ დაავალდებულებს სანიკიძეს, ეს კაცი მართალია და უკან დააბრუნე თავის ადგილზეო. აი, ეს მომენტია აქ გამოყენებული და ადვილად აქვს ლავირების უფლება სამინისტროს. ზოგიერთ დირექტორობის კანდიდატს უკვე ეჭიდავებიან სამოქალაქოს სასამართლოს წარმომადგენლები და ასეთები არიან 116-ე, 195-ე, 37-ე სკოლაში წარდგენილი დირექტორები, მაგრამ ვერ მოუხერხეს ვერაფერი, რადგანაც ამ კანდიდატებს ობიექტური მოსამართლე შეხვდათ, რომელიც აცხადებს, რომ ამ ადამიანების საქმეები წმინდა ადმინისტრაციულიაო.

**— სულ რამდენ დირექტორს აქვს შეტანილი საჩივარი, ხომ არ იცით?**

– ჩვენ რაც დავთვალეთ, დისკრეციის გამოყენება 20-მდე სკოლაში მოხდა, მაგრამ ყველას როდი აქვს შეტანილი სასამართლოში სარჩელი. თავად მინისტრმა არ მოგვცა ინფორმაცია, ეს საიდუმლო ინფორმაციააო და რა არის აქ სასაიდუმლე? ჩემი აზრით, ზოგი დირექტორი დისკრეციულადაც რომ არ დაინიშნა, ამის გამჟღავნების ეშინიათ. სადაც მოხდა გადამისამართება, იქ, თუ არ ვცდები, მოსამართლე ყოფილი პროკურორია და ადვილად გაეხვია გავლენის ქსელში. იქ, ცხადია, ავტომატით არავინ დაადგა, გინდა, თუ არა სამოქალაქოში გადაამისამართეთო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ის ადამიანი დაემორჩილა მითითებას.

**„ალია“ კომენტარისთვის დაუკავშირდა განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს, ნატა ასათიანს:**

– დავით ფერაძე აცხადებს, რომ მინისტრი თამარ სანიკიძე სასამართლოს საქმეებში ერევა და იმ დირექტორების საქმეები, რომლებიც დისკრეციული წესით დანიშვნას ეწინააღმდეგებიან, ადმინისტრაციული სამართალწარმოებიდან სამოქალაქო წარმოებაში გადაატანინა გარკვეული მიზნითო.

– მოკლედ გიპასუხებთ: სამინისტრო ფერაძის განცხადებას არ ეთანხმება.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ამ 37 წლის განმავლობაში სასოწარკვეთა არასდროს ყოფილა ჩემში“



სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია მეორის განცხადებით, იმ ხნის განმავლობაში, რაც საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელია, სასოწარკვეთა არასდროს დაუფლებია.

ამის შესახებ პატრიარქმა სვეტიცხოვლის ტაძარში, საზეიმო წირვის დასრულების შემდეგ ქადაგებისას განაცხადა, სადაც პატრიარქობისას განვლილ ცხოვრებაზე ისაუბრა. როგორც ილია მეორემ აღნიშნა, ამ ხნის განმავლობაში, ის ყოველთვის ხედავს საქართველოს გაჭირვებას, თუმცა, იმედი არასდროს დაუკარგავს.

„მე ვხედავდი იმ გაჭირვებას, რომელშიც იყო საქართველო და ჩვენი ეკლესია. ამავე დროს, მე ვხედავდი, რომ ძალიან ახლოს ვიყავი ღმერთთან და ღმერთი ახლოს იყო ჩვენთან, ამიტომ ამ 37 წლის განმავლობაში არასდროს სასოწარკვეთა არ ყოფილა ჩემში. ვხედავდი ღვთის წყალობას, იმ მადლს, რომელიც მოეფინა და ეფინება საქართველოს“, – განაცხადა ილია მეორემ.

მეუფე დავითის შემდეგ უწმინდესს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ამბიონიდან მიმართა და აღსაყდრების 37-ე წელი მიულოცა. პრემიერმა აღნიშნა, რომ ქართველმა ხალხმა ამ 37 წლის განმავლობაში ურთულესი განსაცდელები გამოიარა. მისივე თქმით, პატრიარქი ერისთვის იმედთან ასოცირდება, ერისთვის კაცთმოყვარეობის, მიმტევებლობის, მამულიშვილური სიყვარულის მაგალითია. (ნიუპოსტი)

## თინა კანდელაკის ახალი რჩეული ცოლშვილიანი მინისტრია



თინა კანდელაკის ახალი რჩეული თათრეთის რესპუბლიკის სპორტის მინისტრი ვლადიმირ ლეონოვია. კანდელაკის ახალ რომანზე მედიაში ხმები მას შემდეგ გავრცელდა, რაც მან „ინსტაგრამის" საკუთარ გვერდზე სურათი განათავსა, სადაც ლეონოვთან ერთად ჩახუტებული ზის. ამასთანავე, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რამდენად უბრწყინავს შავგვრემან ლამაზმანს თვალები.

კანდელაკმა სურათი შემდეგი წარწერით დაასათაურა: „ერთად ვუყურებთ საპასუხისმგებლო მატჩს".

აღსანიშნავია, რომ კანდელაკის ახალ რჩეულს ოჯახი ჰყავს.

**ambebi.ge**

## ლეილა აბაშიძე მაია წყნეთელის დროინდელმა ტრავმამ შეაწუხა



„ქართულის ბრენდის დღე" – ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონიალი თავის ნომინაციებს შორის ასახელებს „ბრენდ-პერსონას". წელს ამ ნომინაციით ორი ლეგენდა დაჯილდოვდა – ლეილა აბაშიძე და ჯამლეტ ხუხაშვილი.

მსახიობ ლეილა აბაშიძის თქმით, მას ახალგაზრდობაში მიღებული ტრავმა აწუხებს.

– მაია წყნეთელის როლის შესრულებისას ცხენიდან გადმოვვარდი, ტრავმა მივიღე და სიბერეში გამიხსენა. ახლა მკურნალობის ქვეშ ვარ. წოლითი რეჟიმი მაქვს, მაგრამ გულმა არ მომითმინა და მოვედი. „ბრენდ-პერსონა" გავხდი და რომ არ მოვსულიყავი, არ გამოდიოდა, თქვენთვის მხარი ღირსეულად უნდა ამება. თან ჩემი ფიზიკური მდგომარეობა ამის საშუალებას არ მაძლევდა. არ მოვდიოდი, მაგრამ მე აქ უნდა ვყოფილიყავი, – განაცხადა აბაშიძემ.

**primetimenews.ge**

## რა კრიტერიუმებით შეარჩევს ეკა ზღულაძე უკრაინელ პოლიციელებს



უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, ეკა ზღულაძემ პოლიციელთა შერჩევის ასპექტებზე ისაუბრა. მისი თქმით, სამართალდამცავად გახდომა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ხოლო პოლიციელთა არჩევა ღია კონკურსის შედეგად მოხდება.

– კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას. კრიტერიუმები – ასაკი – 18-დან 35 წლამდე. არჩეული პრეტენდენტები სასწავლებლებში გაიგზავნებიან. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ვერ შეძლებს ამ სასწავლო დაწესებულებების დამთავრებას, მაგრამ ვინც დაამთავრებს სწავლას, ნამდვილი ახალი პოლიციელი გახდება, – განაცხადა ზღულაძემ ერთ-ერთ უკრაინულ სააგენტოსთან საუბრისას.

გარდა ამისა, ზღულაძემ დასძინა, რომ შესარჩევ კონკურსში სხვა კატეგორიებიც იქნება. ეკა ზღულაძის თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრობლემები კორუფცია და დუბლირებული ფუნქციებია, რომელთან ბრძოლასაც ის აპირებს.

**ambebi.ge**

## „ჩემი ცოლის დაქალები" ტაიმ-აუტს არ იღებს!




ცოტა ხნის წინ მედიაში ინფორმაცია გავრცელდა, რომ ყველასთვის საყვარელი სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები" ახალი წლიდან ტაიმ-აუტს იღებს.

როგორც სერიალის პროდიუსერი მიშა ანდღულაძე ამბობს, ეს სრული სიცრუეა. ყოველწლიურად სერიალის შემოქმედებითი ჯგუფი იანვარში ისვენებს, შესაბამისად, წელსაც ახალი სეზონი თებერვლიდან დაიწყება. იანვარში კი, „რუსთავი 2"-ის ეთერში 8-სერიიანი დეტექტიური ჟანრის სერიალი გავა.

**primetimenews.ge**

## „ჩემი გამწარება უნდათ, პროვოკაციაა, კარიერას მიფუჭებენ" – კრიმინალური სკანდალი მოსკოვში



რუსულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი მომღერალი, ეთერ ბერიაშვილი მეუღლის გამო კრიმინალურ სკანდალში ეხვევა. რუსი სამართალდამცავების თქმით, მომღერლის მეუღლე ბადრი ფაფიჩაძე, თანამზრახველთან ერთად, რამდენიმე წლის მანძილზე საიუველირო მაღაზიებს ძარცვავდა.

რუსული მედიით ვიდეო გავრცელდა, რომელშიც ბერიაშვილების სახლში ჩატარებული ჩხრეკის ფაქტია აღბეჭდილი. ჩხრეკისას ამოღებულია მილიონი რუბლი და საიუველირო ნაწარმი. როგორც რეპორტაჟში ამბობენ, ქართველი მომღერლის ოჯახში ძვირფასეულობის მაღაზიებიდან მოპარული, ნაძარცვი სამკაული ინახებოდა. ეთერ ბერიაშვილის თქმით, სამკაული, რომელიც ვიდეოკამერამ დააფიქსირა, მას და მის გოგონას ეკუთვნის.

ეთერ ბერიაშვილი:

– ერთი სიტყვაც არ არის მართალი. დაკავებული ჰყავთ, მაგრამ ვერაფერს უმტკიცებენ, რადგან ჩემი ქმარი იქ არ ყოფილა. უნდათ, რომ გამამწარონ და ჩემი კომენტარი მიიღონ, ხოლო, როდესაც ხედავენ, რომ ჩემი ქმრის საწინააღმდეგოდ არაფერს ვამბობ, ამგვარ ბინძურ მეთოდებს მიმართავენ. რადგან „ახალი ხმის" მონაწილე ვარ და ცნობილი სახე, გააკეთეს ცხელი რეპორტაჟი, რომ ჩემი ქმარი განგსტერი და ბანდიტია. ეს არის პროვოკაცია და ეს არის ძალიან დიდი სიდამპლე ჩემს მიმართ. ქართველი საზოგადოება არ უნდა წამოეგოს ამ ანკესზე, მე არ ვავრცელებდი ამას. მინდოდა დამთავრებულიყო გამოძიება. და მერე მომეფინა ყველაფრისთვის ნათელი. არ მეგონა, ესენი თუ ასეთ ბოროტმოქმედებას მიმართავდნენ. ეს არის ბოროტმოქმედება ჩემი რეპუტაციის წინააღმდეგ.

**newposts.ge**

## გია ხუროშვილი სამი ტყუპის მამა გახდა



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საპარლამენტო მდივანს გია ხუროშვილს სამი ტყუპი შეეძინა. ნიკოლოზი, ბარბარე და ელენე ხუროშვილები ამერიკაში, შობის დღესასწაულზე დაიბადნენ.

– დღეს განსაკუთრებული და სიხარულით სავსეა შობის დღესასწაული ჩვენთვის! ამ ქვეყანას მოევლინა კიდევ სამი პატარა ხუროშვილი: 1. ნიკოლოზი, 2. ბარბარე, 3. ელენე. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩვენ გვერდით იყავით მთელი ამ ხნის განმავლობაში და მადლობა ჩემს მეუღლეს თაკო ტატუნაშვილს, – წერს „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე გია ხუროშვილი.



**primetimenews.ge**

## თქვენ სად მიექანებით, „ერთმორწმუნე დამლაგებლების" ტრფიალო ხუ-ბუ-ტოი-ლოებო?



ალექსი პეტრიაშვილი რუსეთში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს:

– რუსეთიდან – თესი, თესიო, ამბობენ რუსეთის წამყვანი ანალიტიკოსები და თქვენ სად მიექანებით, „ერთმორწმუნე დამლაგებლების" ტრფიალო ხუ-ბუ-ტოი-ლოებო? – წერს პეტრიაშვილი.

**newposts.ge**

## ნინი ქარსელაძე – „დღეს ჩემი ოქროს ბიჭის დაბადების დღეა. ბედნიერი ვარ, რომ..."



25 დეკემბერს მომღერალი ზურა ხაჩიძე 36 წლის გახდა. დაბადების დღეს „ქუჩის ბიჭს" ნინი ქარსელაძე ასე ულოცავს.

ნინი ქარსელაძე:

– დღეს ჩემი ოქროს ბიჭის დაბადების დღეა!!! ბედნიერი ვარ, რომ შენ გამზარდე და ჩემი ოჯახი ხარ. მიყვარხარ და ყველაფერი საუკეთესო შენ.

**primetimenews.ge**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## ადამიანების უეცარი გაუჩინარების დღემდე ამოუცნობი ფენომენი



1996 წლის 27 დეკემბერს ამერიკელი მოდელი ჯეინ მიტჩელი იუბილარი იყო და სტუმრების სახლში გამასპინძლებას აპირებდა, თუმცა როცა მისი ნაცნობმეგობრები დათქმულ დროს გამოცხადდნენ, მასპინძელი სახლში არ დახვდათ. გავიდა რამდენიმე დღე და ჯეინ მიტჩელი ისევ არ გამოჩნდა, რის გამოც მისმა მეგობრებმა დახმარებისთვის პოლიციას მიმართეს. დაიწყო დაკარგულის ძებნა, მაგრამ სულ მალე გამოძიება იძულებული გახდა, პროცესი შეეჩერებინა – უეცრად ჯეინ მიტჩელი საკუთარ საძინებელში უგონო მდგომარეობაში გაჩნდა...

ასეთივე იდუმალებით მოცული იყო ბობ ტომპსონის გაუჩინარებაც, რომელიც ერთ დღეს მეუღლის დასახვედრად ლოს-ანჯელესის აეროპორტისკენ გაემართა და ცოტა ხანში მხოლოდ მისი ავტომობილის მოძიება გახდა შესაძლებელი, თავად ტომპსონი კი რამდენიმე დღის განმავლობაში არსად გამოჩენილა. ხუთი დღის შემდეგ, როცა ის სახლში დაბრუნდა, აღარაფერი ახსოვდა...



ამ ორ შემთხვევას, ისევე როგორც ასობით სხვას, ერთმანეთთან ძალიან ბევრი რამ აკავშირებს – ადამიანები იკარგებიან, რამდენიმე დღის, ზოგჯერ კი, რამდენიმე თვის შემდეგ ჩნდებიან და ვერაფრით იხსენებენ, სად იყვნენ ამდენი ხნის მანძილზე.

მაინც რა ხდება და რატომ ქრებიან ასეთ უცნაურ პირობებში ადამიანები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას სპეციალისტები ჰიპნოთერაპიული სეანსების დახმარებით ცდილობენ.

მაგალითად, ამერიკელმა ფსიქოლოგმა დეილ მუსერმა ფენომენს ყურადღება ჯერ კიდევ 1992 წელს მიაქცია, რომლის პაციენტებსაც მეხსიერებაში უჩვეულო ჩავარდნები აღენიშნებოდათ.

დეილ მუსერმა ჰიპნოტიკურ რეგრესიას მიმართა – პაციენტი ჰიპნოზურ მდგომარეობაში გადადიოდა, შემდეგ კი სპეციალისტის დახმარებით, უკვე წარსულს უკავშირდებოდა. ასეთი სეანსის დროს ადამიანი, ფაქტობრივად, ყველაფრის გახსენებას ახერხებს და ექიმის ყველა კითხვასაც ამომწურავ პასუხს სცემს.

მუსერის მუშაობის შედეგები სენსაციური აღმოჩნდა: პაციენტების უდიდესი ნაწილი, რომლებიც მეხსიერების ჩავარდნებით იტანჯებოდნენ, არამიწიერი არსებების გატაცების მსხვერპლი ხდებოდა.

***tainamira.ru***

## სახლში უცნობი შიშველი მამაკაცი აღმოაჩინა



გვესმის, განძი აღმოაჩინო, ჯანდაბას, ხურდა ფული იყოს, მაგრამ შიშველი მამაკაცი იპოვო, თანაც საკუთარ სახლში?! უჰ, ყველაზე მომაბეზრებელ მეზობელსაც კი არ ვუსურვებთ ასეთ რამეს, რადგან გეცოდინებათ, შიშს რამდენი პრობლემის გაჩენა შეუძლია ადამიანისთვის.

უჩვეულო კურიოზული ინციდენტის შესახებ კვლავაც ამერიკული მედია იუწყება: ტეხასელმა დიასახლისმა საკუთარ სახლში უცნობი მამაკაცი აღმოაჩინა, რომელიც შხაპს იღებდა და თან გულიანად მღეროდა და ცეკვავდა.

დიასახლისის ინფორმაციით, როცა სახლში დაბრუნებულმა სააბაზანოდან ხმაური გაიგო, მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, დაუპატიჟებელ სტუმარს თავზე დაადგა და სახლის დატოვება მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. მაშინ მან საქმეში უკვე პოლიციელები ჩართო. ადგილზე მისულ სამართალდამცველებს სხვის სახლში შეპარული 41 წლის ექტორ სანჩესი უკვე საწოლში ჩაწოლილი დაუხვდა.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, როგორც ამბობენ, თავიდან პოლიციელებმა ექტორ სანჩესს სხვისი საკუთრების დატოვება თავაზიანად მოსთხოვეს, თუმცა, როცა უარი მიიღეს, მამაკაცს ძაღლები მიუსიეს, შემდეგ კი განყოფილებაში გადაიყვანეს.

რატომ შეიპარა ეს უცნაური ვაჟბატონი სხვის სახლში, კაცმა არ იცის. უცნობია ისიც, როდის გაიმართება სასამართლო პროცესი.

***korrespondent.net***

## მოხუცებულთა თავშესაფრის თანამშრომელი მიცვალებულებთან ფოტოების გადაღებით ერთობოდა



ვიღაც ახალ ფოტოს გადაიღებს, მაშინვე გავარდება და მას „ფეისბუკზე" ატვირთავს, რაც ერთგვარ მოდად არის ქცეული.

აბა, გაიხსენეთ, რამდენი უცნაური ფოტო გინახავთ თუნდაც ვირტუალური მეგობრების ან გნებავთ, სრულიად უცხო ადამიანების გვერდებზე? მაგრამ დიდი ეჭვი გვაქვს, ასეთ სულელურ ფოტოს ვერსად შეხვდებოდით...

შვეიცარიის ქალაქ მოგელსბერგის მოხუცებულთა თავშესაფრის თანამშრომელი 35 წლის ბლეიზ ბიმ ფოტო 92 წლის გარდაცვლილ მოხუცთან გადაიღო და რაღა თქმა უნდა, „ფეისბუკზე" დადო.

ბლეიზ ბიმ უცნაურ ფოტოს თან სულელური კომენტარიც დაურთო: „მიხვდით, სძინავს თუ მოკვდა? მინიშნება: მე მის სულს მივაკითხე..."

ისე მოხდა, რომ ფოტო სოციალურ ქსელში გარდაცვლილის ნათესავებმა ნახეს და მაშინვე იჩივლეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბლეიზ ბის გარდაცვლილებთან ფოტოები ადრეც გადაუღია, გარდა ამისა, ის ოკულტიზმითა და სადომაზოხიზმითაც ყოფილა დაინტერესებული.

– ვერ ვხვდები, რატომ დავიმსახურე ასეთი რისხვა. სულაც არ მიფიქრია მიცვალებულის დაცინვა, – ამბობს შვეიცარიელი, რომელიც სრულ ჭკუაზე აშკარად ვერ უნდა იყოს.

ასეა თუ ისე, გარდაცვლილის ნათესავები უკან დახევას არ აპირებენ და ბლეიზ ბისთან ურთიერთობას ისინი სასამართლოში გაარკვევენ.

***reporter-ua.com***

## გამოთვლილია: დღის მანძილზე ბავშვები 300-მდე კითხვას სვამენ



„მამიკო, მართალია, რომ ადამიანები მაიმუნებისგან გაჩნდნენ?" „რა თქმა უნდა, შვილო!" „ესე იგი, შენ და დედიკომ მიშვილეთ?"...

„დედიკო, იმ ბიძიას თავზე თმები რატომ არ აქვს?" „ჩუმად, შვილო, არ გაიგოს" „და რა, თვითონ არ იცის?"...

უჰ, მართლა იმდენი უცნაური კითხვის დასმა იციან პატარებმა, შეიძლება უფროსი ჭკუიდან გადაიყვანონ, მაგრამ რა გინდა, რომ ქნა, ხომ უნდა დაუკმაყოფილო უსაზღვრო ცნობისმოყვარეობა?

მეცნიერებს ეს საკითხი იმდენად აქტუალურად მოეჩვენათ, კვლევაც კი ჩაატარეს იმის დასადგენად, დაახლოებით რამდენ კითხვას სვამს ბავშვი დღის განმავლობაში. შედეგი საკმაოდ შთამბეჭდავია: პატარები მშობლებს დღეში დაახლოებით 300 კითხვით მიმართავენ.

კვლევის შედეგად ისიც დადგინდა, რომ ყველაზე ცნობისმოყვარეები 4 წლის გოგონები არიან. მათი „რატომ" უფროსმა დღეში შეიძლება 390-ჯერ გაიგოს. გარდა ამისა, ყველაზე მეტი კითხვა ბავშვებს უჩნდებათ მაგიდასთან (11) და დაახლოებით ამდენივე მაღაზიაში შესვლისას (10).

თითქმის ყოველთვის, კერძოდ კი შემთხვევათა 82 პროცენტში, ბავშვები კითხვით დედებს მიმართავენ. რატომ და იმიტომ, რომ ყოველი მეოთხე პატარა დარწმუნებულია, რომ მამას პასუხი არ ექნება და გადაამისამართებს: „წადი და დედაშენს ჰკითხე".

დაბოლოს: ექსპერტებმა დაიანგარიშეს, რომ წლის მანძილზე დედებს დაახლოებით 105 ათას 120 პასუხის მოფიქრება უწევთ. ამასთანავე, დედების 82 პროცენტი გამოტყდა, რომ 9-10 წლის ბავშვების კითხვებზე პასუხები, უბრალოდ, არ აქვთ.

***mamin-dom.ru***



## 8-მილიონიანი... ჩაის მაგიდა

უფრო რომ დავაზუსტოთ, ეს ერთი შეხედვით სრულიად ჩვეულებრივი მაგიდა 8,416 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა და თუ რატომ, ამას ახლავე მოგახსენებთ:

**XVIII** საუკუნეში წითელ ხეზე მომუშავე ამერიკელების მიერ შექმნილი ავეჯი დღეისთვის არცთუ ისე ბევრი მოიძებნება. მაგალითად, შემორჩენილია მხოლოდ ორი ცალი ჩაის მაგიდა, რომლებიც იმ დროისთვის ცნობილი ოსტატის ჯონ გოდარტის მიერაა დამზადებული.

ამ ორი მაგიდიდან ერთ-ერთი დელავერის შტატის მუზეუმში ინახება, ხოლო მეორე „სოტბის" აუქციონზე 2005 წელს წარმოუდგენელ ფასად გაიყიდა.

თანამედროვე სპეციალისტების განმარტებით, ეს უძვირფასესი ჩაის მაგიდა **XVIII** საუკუნის ამერიკული ავეჯის ნათელი ნიმუში და გოდარტის ერთ-ერთი საუკეთესო ნახელავია.

ცნობილია, რომ აუქციონზე გატანილი მაგიდის საწყისი ფასი 3,4 მილიონი იყო, თუმცა, როგორც უკვე მოგახსენეთ, უცნობმა კოლექციონერმა მასში 8,416 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა.

***mainfun.ru***

## რომელი ყველი დაგიცავთ კარიესისგან?



ფაქტია, ამ სიახლის ავტორებმა არც იმერული ყველი იციან და არც სულგუნი, თორემ შეიძლება რეალობა ბევრად განსხვავებული ყოფილიყო.

სანამ „სამამულო რძის პროდუქტებს" სათანადოდ გავაპიარებდეთ, მანამდე დიეტოლოგები ამბობენ, რომ ყველაზე სასარგებლო ყველი ინგლისური ჩედერია.

მიზეზად ისინი იმ ფაქტს ასახელებენ, რომ თურმე, ჩედერი უდიდესი რაოდენობით ცილასა და კალციუმს შეიცავს.

სპეციალისტების რჩევაა, ჩედერი ყოველდღიურად მივიღოთ, რადგან ის ორგანიზმს არა მხოლოდ საჭირო ნივთიერებებით ამარაგებს, არამედ კბილებს კარიესისგანაც იცავს.

აქვე იმასაც დავამატებთ, რომ ჩედერი კულინარიაში მართლაც პოპულარულია. მის დამზადებას 2-დან 6 თვემდე, ზოგჯერ კი 5 წელიც კი სჭირდება.

***myjane.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



კარზე კაკუნია. აღებს დიასახლისი:

– გამარჯობათ, ქალბატონო. გვსურს, ახალი მომსახურება შემოგთავაზოთ – ტელევიზორებს ვთიშავთ.

– რაო?! მადლობა, ბატონებო, არ მჭირდება...

– ცემა-გაუპატიურებით ბევრად ძვირი ჯდება, დაფიქრდით...

*****

– ოფიციანტო, რატომ მომიტანეთ ყველა კერძი ასეთი ცივი?!

– თქვენ შეუკვეთეთ: არაყი, ოლივიე, „ხალადეცი" და ნაყინი... რომელი გაგითბოთ, დამაკვალიანებთ?!

*****

რიტუალური მომსახურების ბიუროში ქილერი მივიდა და ძმაკაცისთვის გვირგვინის შეკვეთა მოითხოვა. ჰკითხეს:

– რა დავაწეროთ?

– დააწერეთ: „კოტეს შალვასგან"... ან არა, ეგ ძალიან ბანალურია. სჯობს, დააწეროთ: „ბოდიში, ძმაო, სხვაში შემეშალე!"

*****

დაქალები ჭორაობენ:

– გუშინ ჩემმა რეგვენმა ქმარმა წამასწრო ფეხების პარსვისას – მის „ბრიტვას" ვხმარობდი და გადაირია. გამაგდო და ახალი მაყიდინა...

– უკვე მოასწარი გამოცდა?

– აბა, რა?!

*****

– ცოლს რატომ არ ირთავთ? – კეკლუცად ჰკითხა ქალმა ბერბიჭა მეზობელს.

– მეშინია!!! ამას წინათ ქუჩაში ვიღაც ქალი მომვარდა, სახე ჩამომფხაჭნა, თმები დამაგლიჯა, მლანძღა, მწყევლა და გული რომ იჯერა, შეწუხებულმა მითხრა: „უი, ბოდიშს გიხდით, ჩემს ქმარში შემეშალეთო"...

*****



საუბარი დეპუტატებს შორის:

– გუშინ რატომ არ მოხვედი სხდომაზე, კოლეგა?

– რა ვიცი, კაცო, ვიფიქრე, სახლში გამოვიძინებ-მეთქი...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მხ/ფ „ვერის უბნის ...“
2. რუსი საბჭოთა კლოუნი
3. ჩანთოსანი ცხოველი
4. ხერხემლის ბოლო ნაწილი
5. სისხლის გაწმენდის მეთოდი
6. მდინარე აღმ. საქართ.
7. ნაჯახი
8. ერთყურიანი სათვალე
9. მტაცებელი ფრინველის ფრენა
10. ... მარაბდელი
11. პოეტი ... ბარტო
12. ფრანგული ოქროს ფული
13. მოდების ჩვენება
14. ბიბლიური მთა
15. მსახიობი პოლ ...
16. ანტილოპას სახეობა
17. ნახატის აღდგენა
18. თრითინა
19. მოკრივე ... ჰოლიფილდი
20. თქმულება რამაზე
21. „... კარენინა“
22. ფიზიკოსი ერნესტ ...
23. ღორის ნაშიერი
24. ავი ძაღლი
25. ხის ჯიში
26. კომპოზიტორი ფრანც ...
27. ხორცის კერძი
28. სახის ნაწილი
29. რომის პაპის გვირგვინი
30. მარცვლოვანი მცენარე
31. შეძახილი ტკივილისას
32. ოთახის შემინული ნაწილი
33. მდინარე ინდოეთში
34. გამოსამარგლი ბალახი
35. მაროკოს დედაქალაქი
36. თანამედროვე გიგანტ. ხვლიკი
37. თურქეთის დედაქალაქი
38. ბრმა ნაწლავის ანთება
39. ქალის შიდა სამოსი
40. პორტუგალიური არქიპელაგი
41. მსახიობი ... ჰილი
42. სახის ნაწილი
43. მეცნიერება მცენარეების შესახებ
44. კრემიანი ნამცხვარი
45. გურული გლეხის თავსაბურავი
46. თევზის ჯიში
47. პიონერთა ბანაკი ყირიმში
48. ხორცის ნაჭერი
49. გრამატიკის ნაწილი
50. მოსამართლის მოსასხამი
51. მომღერალი ... ვაიკულე
52. ძაფებით სამოძრაო თოჯინა
53. ბერძ. ანბანის პირველი ასო
54. კათოლიკური ეკლესიის მეთაური
55. აზროვნების ორგანო
56. არაკი
57. მდინარე გერმანიაში
58. ტყის სული წვეტიანი ყურებით
59. მწერალი ვიტალი ...
60. ვაზის ჯიში
61. ...-ვეგასი
62. ლითონის ჩაფხუტი
63. „ბითლზი“ რინგო ...
64. მერი შელის ზომბი
65. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში
66. სამშობლოს მოყვარული
67. მომღერალი ... ბურჭულაძე
68. ტრიგონომეტრიული ფუნქცია
69. ყელის ტკივილი
70. ჟურნალისტი ... გრიგოლია
71. მსახ. ... ქავჟარაძე
72. „კაპიტან ... შვილები“
73. ტივი „... ტიკი“
74. კენჭი, ქანი
75. მსახიობი ... მერფი
76. მკერდის კორექციის მასალა
77. მსახიობი მიშელ ...
78. მხ/ფ „... მოვიპაროთ მილიონი“
79. ტბა აფხაზეთში
80. ყველაზე კამკამა ვარსკვლავი
81. ვერცხლისწყალი
82. დროშა
83. მენდელსონი. „საქორწილო ...“
84. ბრიტანული ავტომობილი
85. პატარა მრგვალი პური
86. თმა, ბეწვი
87. პორტი საფრანგეთში
88. მამაკაცის მაღალი ხმა
89. მწერალი მაქსიმ ...
90. მომღერალი ... კუტუნიო
91. თხილიანი კანფეტი
92. ხის ჯიში
93. ანწლი
94. ბილიარდის ჯოხი
95. ეგზოტიკური ფრინველი
96. მეიგავე ... კრილოვი
97. ბოსტნეული
98. ... ურჩევნია მამულსა რომ შვილი სჯობდეს მამასა
99. მსუსხავი ბალახი
100. ექიმის სამოსი
101. ხის სახლი იმერეთში
102. ნახატების გამოფენა
103. მხედველობის ორგანო
104. გაფუჭებული კვერცხი
105. სამკურნალო მცენარე
106. ... კუზანოვი
107. მომღერალი ...
108. ბალეტ „დონ კიხოტის“ ავტორი
109. ქორეოგრაფი მარის ...
110. ურჩხული ჩინურ ზღაპრებში
111. რუსული ესტრადის მომღერალი
112. მსახიობი ჟორჟ ...
113. ფირმა „...-პარი“
114. გერმანიის დედაქალაქი
115. აბრეშუმის მტკიცე ქსოვილი
116. მხ/ფ „... ბედინერი“
117. თავისუფალი ფორმის ნაწარმოები
118. ისტორიის მუზა
119. მეჭეჭების მოსაწვავი სითხე
120. აფრიკული ტომი
121. თოფის დეტალი
122. ინფექციური დაავადება
123. მხ/ფ „თეთრი ქარავანი“ პერსონაჟი
124. შოკოლადის ხის ნაყოფი
125. კომპოზიტორი ... გაბუნია
126. რეჟისორი ... პარკერი
127. თამაში: ...-ტაფელა
128. „წითელი“ პლანეტა
129. კატის ნაშიერი
130. სულხან-... ორბელიანი
131. სავანის ბინადარი ცხოველი
132. მსახიობი ... საზერლენდი
133. მსახიობი ... ლანკასტერი
134. მწერალი ... კიზი
135. სინდისი
136. კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობა
137. იაპონური ჭადრაკი
138. სატელეფონო სიტყვა
139. გამადიდებელი მინა
140. სამხედრო სასამართლო
141. არქიპელაგი გიგანტ. კუებით
142. ჰიპოკრატეს ...
143. მსახიობი ... სმიტი
144. კარტოფილის მავნებ. ხოჭო
145. ყვავილი

1.კუნძულების ერთობლიობა
2. ... აგდო და ფავი მეუფეიროო
3.„... სქლია კეთილმანი“
4.შაქრის ლერწმის არაყი
5.ფანქრის მავი გული
6.ბერძ. ანბანის ბოლო ასო
7.ლარნაკი
8.ქართ. ფულის ერთეული
9.ქალაქი სამეგრელოში
10.წვრილი კენჭები პლაჟზე
11.ტყის ყაყაჩო
12.ტენორი მარიო ...
13.ქიაჩელი. „... ბიჭვა“
14.ზურიკელას კლასელი ბიჭი (დუმბაძე)
15.მწერალი ... პიუგო
16.ეპოქა
17.მტაცებელი ფრინველი
18.შტატი აშშ-ში
19.კრივის მოედანი
20.აზროვნების ორგანო
21.კანფეტი
22.რომეოსა და ჯულიეტას ქალაქი
23.ბომარშეს პიესის გმირი
24.ციტრუსის კანი
25.ლეონარდო ... კაპრიო
26.„სწავლობს ბიჭუა ...“
27.მსახიობი ... უოზერსპუნი
28.თბილი, სოფრიფანა
29.მთათა სისტემა ევროპაში
30.თმის პარაზიტი
31.„ოტელო“ პერსონაჟი
32.სოფელი ახმეტის რაიონში
33.... ფონ ბისმარკი
34.მდინარეზე გასასვლელი
35.ოქროს დიდი ნატეხი
36.ჩილეს დედაქალაქი
37.თურქული წითელი ქუდი
38.ყინვაგამძლე ცოცხალი მანქანისთვის
39.მსახიობი ფილიპ ...
40.ხის ჯიში
41.კეთილი ჯადოქარი
42.ლორის ნაშიერი
43.მსახიობი ქერარ ...
44.ხილის წვნის დანამატი საპარფუმეროში
45.ყურე
46.ყვავილი
47.... მელეგენიტოეტიულეცი
48.მოროშკინა
49.ფულის გასაცემი ოთახი
50.ნორვეგიის დედაქალაქი
51.დიორიდორის სამოსი
52.ქალაქი უკრაინაში
53.ტალანტი
54.ცხიმოვანი სისხლზე
55.თათქარიძეების მიამიტი გოგო
56.მწვანილი
57.პატარა მოოლიფლი ცხოველი
58.მამაკაცის სამოსი
59.ქალაქის მუნიციპალიტეტი
60.საუბარი, ამუ ...
61.დედნის პირი
62.კონად შეკრული თავთავები
63.პიონერთა საერთაშორისო ბანაკი
64.... იაშინი
65.მსახიობი ... კუიდი
66.მსახიობი ... იოვოვიჩი
67.მათემატიკური მოქმედების შედეგი
68.სამკურნალო მცენარე
69.ფილიპინების დედაქალაქი
70.მდინარე კახეთში
71.ურდული
72.ყველაზე მაგარი მინერალი
73.სპორტის სახეობა
74.ტყე მდინარის პირას
75.ესპანელი აზნაური
76.რეპტილია
77.დაწინაური ელექტრონები
78.ცდა მონაწილეობა
79.... პუგაჩოვა
80.ავი სული არაბულ ზღაპრებში
81.დიუმა. „დედოფალი ...“
82.ყანწის მასალა
83.ამოთხრილი ადგილი მიწაზე
84.მელია ჩანდა ფილმში
85.მსახიობი ... ნიკოლსონი
86.ბალანი, ბეწვი
87.მსახიობი ... რობინსი
88.ველური მხალი
89.ნიგერიის ვალუტა
90.მომღერალი ... ლავინი
91.ცალიანი მცენარე, ფურცლებით ფხალი
92.ბრედ პიტი ფილმში
93.მზის ამოსვლა
94.მომღერალი მიქილ ...
95.ბრონტე. „ჯეინ ...“
96.სამიანი ნარდში
97.დესის პოპული ბალეტის
98.სასიმინ-დე
99.ქსოვილი, ნაჭერი, ამუ ...
100.პურის სოკო
101.ნიავი
102.ოსური ცეკვა
103.მაია ასათიანის გადაცემა
104.გიტარის მაჟღული
105.მარგალიტის ნაწარმოები ფეხი
106.ძაღლის ჯიში
107.თავდაცვის ნარაფი ძველად
108.კაპიტანი. ექვსდღენ გზე „დღე“ კანიოში
109.ბრმის მიერ გასამართლება
110.შტატი აშშ-ში
111.ათი მცნების ავტორი
112.ბიჭუნა მორთაბის კოშკებით
113.ხაფანგი
114.„მაუგლი“ ავაზა
115.ჯუჯა კამეჩი
116.ძროხის ნაშიერი
117.ზროვას სატრფო
118.მდინარე პარიზში
119.აიბოლიტის მაიმუნი
120.ჩოგბურთელი იონეც ...
121.ნაძვიდ ბლეტში
122.მარცვლეულის დასაშენი ადგილი
123.სახელმწიფო არხით
124.მსახიობი გადაჩენა
125.„ვარსკვლავური ომების“ პრინცესა
126.ქუდი ცხენზე. სპორტსმენი
127.სრული გამარჯვება ჭადრაკში
128.მოთელილი მატყლი
129.ბატკანი, ამუ ...
130.მამალი ცხვარი
131.გამჭოლი ჭრილი
132.მსახიობი ... ვიღენ
133.პოეტი ... ალიგიერი
134.ბავშის მსხვრეპლი
135.არქიტექტურული რელიეფური ბაზისის ნაში
136.სომხეთის დედაქალაქი
137.ქართული ისტორიული ხაზი წელიწადში
138.„ოცდარი ბარივალის“ პერსონაჟი
139.მსახიობი ... ჯეკი
140.დედამიწის მდებარეობა მთავრობით
141.ნიკო ფიროსმანაშვილი, ... ეგავე
142.პოეტი ... უკრაინკა
143.მამაკაცი არისტოკრატი ...
144.ტომრის ფორმის სადგური
145.საშუალი ცეკვა
146.მსახიობი ... თურმანი
147.კაბარდობალყარ. დედაქალაქი
148.დიდი ვარდი
149.ზრდილი ფუქულობის ჭრილი
150.კონფუციუსის სახელი
151.კვერცხის თეთრი ნივთიერება
152.მხ/დ. „ზოლიანი“
153.მყარი ცხიმი
154.დვ. თბილისური მიწაბარი
155.ზამში
156.ნავთობპროდუქტი
157.ცუდი ამინდი
158.მსახიობი ... მანუელ მალდე
159.იუპიტერის თანამგზავრი







**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## გაციების არასწორი მკურნალობა სერიოზულად დაგაზარალებთ



ალბათ, მოგეხსენებათ, რომ ძალიან ბევრი ადამიანი გაციების პირველ ეტაპზე მის წინააღმდეგ არცთუ სერიოზულ ზომებს მიმართავს – ცხელ წყალში პარაცეტამოლიან რამდენიმე შუშხუნა პაკეტს ხსნის და შემდეგ გახარებულია, უსიამოვნებას რა მალე გავუმკლავდიო.

სინამდვილეში, გასახარად მიზეზი ნამდვილად არ არსებობს, რადგან, როგორც მედიკოსები გვაფრთხილებენ, ბრძოლის ასეთი მეთოდი უსაფრთხო სულაც არ არის.

სულ ცოტა ხნის წინ რუსეთში ცნობილი გახდა, რომ პარაცეტამოლის გამო ორი სრულიად ჯანმრთელი ადამიანი გარდაიცვალა, რომლებიც გაციების დამარცხებას სწორედ ამ ცნობილი საშუალების დახმარებით ცდილობდნენ.

როგორც აღმოჩნდა, სიკვდილის მიზეზი პარაცეტამოლის დიდმა დოზამ გამოიწვია, კერძოდ, მის მიღებას ღვიძლის დაშლა მოჰყვა, რაც ბუნებრივია, კარგით არაფრით დამთავრდებოდა.

ექიმები ყურადღებას ამახვილებენ იმაზეც, რომ პარაცეტამოლს სხვა არაერთი უსიამოვნების გამოწვევაც შეუძლია. ასე, მაგალითად, სავსებით შესაძლებელია, პრეპარატის ხშირ და დიდი დოზებით მიღებას მოჰყვეს ალერგია, ანემია, გამონაყარი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

სხვათა შორის, კვლევებმა აჩვენა, რომ ღვიძლზე უკიდურესად უარყოფითი გავლენა შესაძლოა, 10 გრამი პარაცეტამოლის მიღებამაც კი მოახდინოს. პირველი სიმპტომები დღის მანძილზე არითმიაში იზრდება, ან კომაში, რასაც ფატალური შედეგიც შეიძლება მოჰყვეს.

*dr20.ru*

## ინფარქტის გამომწვევი მოულოდნელი ფაქტორები



– თუკი ადამიანს რამდენიმე უფროსი ძმა ჰყავს, ინფარქტის რისკის ჯგუფში შედის. მიზეზი ის არის, რომ რამდენიმე ვაჟის გაჩენის შემდეგ, დედის საშვილოსნოში ჩასახულ მორიგ ნაყოფს ტესტოსტერონის დონე დასაშვებზე ბევრად მაღალი აქვს. დაბადების შემდეგ ის მკვეთრად ეცემა, რამაც ზრდასრულ ასაკში შესაძლოა, ინფარქტი განავითაროს.

– საშიშია დასაძინებლად შუაღამის შემდეგ დაწოლა. იაპონელი სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ასეთი რეჟიმი მთავარი არტერიის მუშაობის დაზიანებას იწვევს. ბრიტანელი მეცნიერები იმასაც ამატებენ, რომ საწოლიდან ადგომის მანერასაც კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რათა გული არ დავიზიანოთ. კერძოდ, არაფრით შეიძლება საწოლიდან სწრაფად წამოხტომა.

– კემბრიჯელმა ექსპერტებმა კვლევების შედეგად დაადგინეს, რომ გულის შეტევები ძირითადად, ნოემბერში, დეკემბერსა და იანვარში ფიქსირდება. მიზეზი ინფექციები და სიცივეა.

– ყველაზე საშიში დრო ინფარქტისთვის დილის 6 საათი ყოფილა, რაც, ასევე, სტატისტიკის შესწავლის შედეგად დადგინდა.

– ინფარქტის ალბათობას ისიც კი ზრდის, რამდენად ერთგულია ადამიანი მეუღლესთან მიმართებაში. ამ მოსაზრების ავტორები ფლორენციელი სწავლულები არიან, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ ღალატისკენ მიდრეკილ მამაკაცებს გულთან დაკავშირებული პრობლემები ერთგულებზე 55 პროცენტით ხშირად აწუხებთ.

– რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ის, ვისაც ყურის ბიბილოზე ნაოჭები აქვს, სხვებთან შედარებით, გულის დაავადებებით მთელი 80 პროცენტით ხშირად იტანჯება.

*fashiongu.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**26 დეკემბერი:** საკმაო ენერგია გექნებათ საქმეების მოსამთავრებლად. დრო არ დაინანოთ და გაერკვიეთ, რაში დახარჯოთ ძალები.

**კურო 22.04-21.05**

**26 დეკემბერი:** თქვენი წარმატებები იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად სწორად გაიაზრებთ მოქმედებებს და როგორ შეარჩევთ დროს. მოულოდნელობებმა ხელი არ უნდა შეგიშალოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**26 დეკემბერი:** მზად იყავით გაუგებრობებისა და ქაოსური მოვლენებისთვის. შეეცადეთ, წინაპირობები დროულად შეამჩნიოთ და იმოქმედოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**26 დეკემბერი:** დღეს მშვენიერი, მომხიბვლელი იქნებით, მაგრამ ძალიან მგრძნობიარე. შეეცადეთ, ნებისმიერი სახის კონფლიქტს მოერიდოთ.

**ლომი 23.07-22.08**

**26 დეკემბერი:** რამდენად მზად ხართ, თქვენც არ გეცოდინებათ, მაგრამ დღეს რაღაც შეიცვლება. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

**ქალწული 23.08-22.09**

**26 დეკემბერი:** რა საქმეც არ უნდა აკეთოთ, იღბალი არ მოგშორდებათ. საქმე თქვენს წარმოსახვაშია. რაც უფრო მრავალფეროვანი იქნება თქვენი ოცნებები, მით უკეთ იქნებით რეალურ ცხოვრებაში.

**სასწორი 23.09-22.10**

**26 დეკემბერი:** თქვენი აზროვნება და საფიქრალზე კონცენტრაცია ბევრად წინ უსწრებს თქვენი ორგანიზმის შესაძლებლობებს. არ გადაიტვირთოთ.

**ღრიანკალი 23.10-21.11**

**26 დეკემბერი:** თქვენი შემართება და ძალისხმევა დღეს ისეთი თვალსაჩინო იქნება, როგორც არასოდეს. მეტსაც შეძლებთ, თუ მოინდომებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**26 დეკემბერი:** ინფორმაციის ვერბალურად გადაცემის სურვილისგან თავს ნუ შეიკავებთ. გამოხატვის თქვენეულ მანერას აღფრთოვანებით შეხვდებიან.

**თხის რქა 22.12-19.01**

**26 დეკემბერი:** დღეს საკუთარი თავის მიმართ ძალიან კრიტიკულად იქნებით განწყობილი, რაც ხასიათს გაგიფუჭებთ. ნუ იქნებით ასეთი მკაცრი.

**მერწყული 20.01-18.02**

**26 დეკემბერი:** შეგიძლიათ, საკუთარ თავს მოდუნების საშუალება მისცეთ, ვინმეს მიმართ უნდობლობა თავიდან მოიშორეთ. ნერვებს დაიწყნარებთ.

**თევზები 19.02-20.03**

**26 დეკემბერი:** რაღაცა იმდენად ძალიან გსურთ, ლამისაა ტყავიდან ამოხტეთ. რატომ იტანჯავთ თავს? რამე რეალური და ასრულებადი მოინდომეთ.

## ამერიკელმა მამაკაცმა უფასო ღვეზელები... მოიპარა



„ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“, გადასარევად უთქვამს ჭკვიან ხალხს და აგერ, თუ მართლა ასე არ არის.

ამერიკელმა მამაკაცმა, რომელიც უფასო ღვეზელების რიგში იდგა, ველარ მოითმინა და გადაწყვიტა, სასუსნავი მამაძაღლობით მოეპოვებინა.

ეს უჩვეულო შემთხვევა პიტსბურგი მოხდა, სადაც ვინმე უილიამ დევენპორტი ბადი ვალასტროს საკონდიტრო ნაწარმის რიგში დგომით იმდენად დაიღალა, წინ მდგომებს გადაუსწრო, დახლთან მივარდა და ოთხი ღვეზელი გაიტაცა.

ინციდენტს უამრავი თვითმხილველი შეესწრო, რომლებმაც მაშინვე პოლიცია გამოიძახეს და სამართალდამცველებმაც მოუთმენელი და ხელიდან წასული უილიამ დევენპორტი სულ მალე ხელბორკილებით დაამშვენეს.

მამაკაცმა თავი იმართლა, ნასვამი ვიყავი და ხელი წამიცდაო. მან ბოდიშიც კი მოიხადა, თუმცა რამდენად შეამსუბუქებს ბრალის აღიარება მის მდგომარეობას, რთული სათქმელია.

*lenta.ru*

## კანადელი მამაკაცი თეთრ დათვთან ერთად ცხოვრობს



მარკ დუმასი პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ მტაცებელ ცხოველს ეხუტება, მასთან ერთად კოტრიალობს, ხახაში თავსაც კი უყოფს და ეს ყველაფერი უსისხლოდ ხდება. ის პოლარულ დათვ ენჟისთან დიდი ხნის წინათ დამეგობრდა.

– სხვა ნებისმიერი ადამიანი რომ იყოს, ის აუცილებლად ენჟის სადილად იქცეოდა, თუმცა მე და ჩემი ცოლი მას ძალიან ვუყვარვართ და არაფერს გვავნებს, – ამბობს 60 წლის მარკ დუმასი.

ეს გაბედული კანადელი დიდი ხანია, ცხოველებს წვრთნის, თუმცა ენჟისთან მიღწეული წარმატება თავადვე აკვირვებს. მან თეთრ დათვს ცეკვაც კი შეასწავლა და მოკლედ, ცხოვრობენ ასე მხიარულად და ხალისიანად.

კანადელმა ენჟის მოვლა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ის ძალიან პატარა იყო. ახლა უკვე თეთრი დათვი 16 წლისაა და „ფეისბუკზე“ საკუთარი გვერდიც კი აქვს.

*top.rbc.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



– კოტე, შენ თუ იცი, რა განსხვავებაა უბედურებასა და კატასტროფას შორის?

– აბა, ეგ რა კითხვაა? რა თქმა უნდა, ვიცი!

– ამიხსენი, თუ ძმა ხარ.

– კარგი – წარმოიდგინე, რომ ჟუჟუნა ბებია მძიმედ დაავადმყოფდა. არის უბედურება?

– ჰო, ეგრეა.

– მაგრამ არ არის კატასტროფა, ხომ?

– მართალი ხარ.

– ახლა წარმოიდგინე, რომ ჩამოვარდა თვითმფრინავი, რომლითაც მგზავრობდნენ სააკაშვილი, ბოკერია და თარგამაძე. კატასტროფაა?

– კი, კატასტროფაა.

– მაგრამ – არა უბედურება!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია
» 211359457
კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 8ბ-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.56